პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 11 აპრილი № 84 (17429) ფასი 2 კაპ.

ლენინური შაბათობა

წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება გაქოთბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაუვანილია ბათუმამდე, ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ.

ვ. ი. ლენინი.



ხუთ-წლედების სიკეთე

აპრილის ამ დღეებში წალკოტს დამსგავსებია ჩვენი სამშობლო. ხარობს მშრომელი კაცის გული, მას მეტი ხალისი ეძლევა, უფრო ნაყოფიერად შრომობს, შრომას კი ადამიანის კეთილდღეობა მოსდევს.

კიდევ რამდენიმე დღე, და როგორც მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის, ისე საქართველოს მშრომელები ალალი გარჯით აღნიშნავენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 109-ე წლისთავს. ეს თარიღი ჩვენში ყოველთვის აღინიშნება „წითელი შაბათობების“ მონწყობით. სამოცი წელი გვაშორებს იმ სამახსოვრო აპრილის დღეს, როდესაც დეპო მოსკოვსახარისხებლის კომუნისტ და უპარტიო მუშათა ერთმა ჯგუფმა ცვლის დამთავრების შემდეგ ორთქლმავლების შეკეთებაზე უსასყიდლოდ ათი საათი იმუშავა. მოსკოველი რკინიგზელების ამ შესანიშნავმა თაოსნობამ დასაბამი მისცა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური შაბათობების მოწყობის დიადი ტრადიციის დამკვიდრებას.

უაღრესად პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ყოერადობისაა ამ ინიციატივის არსი. ლენინმა მას „დიადი თაოსნობა“ უნოდა. შემდგომში იგი აღნიშნავდა: „კომუნისტურ შაბათობას“ სწორედ იმიტომ აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რომ იგი ვეიჩვენებს მუშების შეგნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ახალ შრომითის დისციპლინაზე გადასვლაში, მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური პირობების შემოქმედებაში“. და როგორც დიდი ბელადი განგვიმარტავდა, შრომის ნაყოფიერება, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად.

დრომ ნათლად დაადასტურა ამ სიტყვების ჭეშმარიტება. და განა სიმბოლური არ არის, რომ ნებაყოფლობითს და უსასყიდლო შრომაში ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო მეტოქეობა, რომელიც სამუდამოდ დარჩა საბჭოთა ხალხის შეგნებაში, სწორედ ვ. ი. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული? დიახ, ეს ასეა!

აი რა წინადადება შეიტანა ამ დღეებში ტრესტ „საქშასტმშენის“ „ჭიათურშახტმშენის“ სამმართველოს „ლენინური შაბათობის“ მომწყობ შტაბში კომუნისტური შრომის გვირაბგამყვანთა ბრიგადის თავკაცმა, ორდენოსანმა შოთა კურტანიძემ: „ახარს ეუჭერ რა დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა შესანიშნავ თაოსნობას, რომ დიდნაყოფიერი შრომით აღვნიშნოთ ლენინის დაბადების 109-ე წლისთავი, ბრიგადის წევრები ვკისრულობთ: ამ დღეს ნაცვლად საკავშირო ნორმით გათვალისწინებული სამი გრძივი მეტრისა გავიყვანოთ 4,5 გრძივი მეტრი გვირაბი, რითაც ჩვენს მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ ქვეყნის ძლიერებისა და აყვავების საქმეში“.

შ. კურტანიძის ბრიგადის მაგალითი დღეს ჩვენი შეგნებული, შემოქმედი, გამრჯე ადამიანის ბიოგრაფიის ერთი ჩვეულებრივი ფურცელია. მის მსგავსად იღვწის ჩვენში მილიონობით ადამიანი. იმიტომ არის, რომ წლითიწლობით მატულობს „ლენინური შაბათობის“ მონაწილეთა რიცხვი. წელს რესპუბლიკაში შრომითს დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს ორ მილიონზე მეტი კაცი, რომლებიც 21 აპრილს 12 მილიონი მანეთის პროდუქციას დაამზადებენ და გამომუშავებული თანხის მნიშვნელოვან ნაწილს ქვეყნის განვითარების ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

ყოველდღიურად ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მკითხველი ეგების თუ ვინ როგორ ემზადება შაბათობისათვის. რედაქციაში უამრავი წერილი მოდის.

„ამ დღეს, — იწერებიან ქუთაისელი ავტომშენებლები, — 250 ათასი მანეთის პროდუქციას დავამზადებთ, რაც ჩვეულებრივ დღეს გამოშვებული ნაწარმის რაოდენობაზე საგრძნობლად მეტია“.

— სამშობლოს მივცემთ 100 ტონა ზეგეგმითს ფოლადს და სხვა ნაწარმს, — მტკიცედ აცხადებენ რუსთაველი მეფოლადენი. ამდენივე მანგანუმის ამოღებას გვპირდებიან ჭიათურელი მაღაროელები.

— 21 აპრილს მხოლოდ დაზოგილი ელექტროენერგიით ვიმუშაავებთო, გვატყობინებენ თბილისის სალოკომოტივო დეპოს მეელმავლეები.

ახლა სხვა ცნობებს არ იკითხავთ? რესპუბლიკის ავტოტრანსპორტელებს უკისრიათ 21 აპრილს გადაზიდონ 100 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, პიონერთა მიერ შეგროვებული ჯართით მოეწყობა ჩქაროსნული დნობა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, მარტო თბილისსა და მის შემოგარენში დაირგვება 200 ათასზე მეტი ბუჩქი და ხე.

„ლენინურ შაბათობაზე“ შრომის სიმღერას დასძახებენ სოფლის მეურნეობის სახელოვანი მუშაკებიც. ახმეტელებს გადაუწყვეტიათ მწკრივთაშორისებში ორჯერ მეტი ზვრები დაამუშაონ, ვიდრე ამას სხვა უქმე დღეს ახერხებენ ხოლმე. მახარაძის, გორის, ახალქალაქის, თელავისა და სხვა რაიონის მშრომელები დიდის ხალისით გაირჯებიან საგაზაფხულო კულტურების თესვის, ბაის ბუჩქების გასხვლის, ხეხილის, ვენახისა და საშემოდგომო ხათესების მორწყვაზე, ერთხელ კიდევ შეამოწმებენ და მოანესრიგებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, კეთილმოაწყობენ სოფლის ცენტრებს, გზებს. ერთი სიტყვით, უქუდზე კაცი იმუშავებს.

წლევანდელი „ლენინური შაბათობა“ განსაკუთრებული პოლიტიკური კამპანიის ატმოსფეროში აღინიშნება. მასების შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავის შესახებ“.

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, როცა ჩვენმა ხალხმა სამოქმედო პროგრამად ქვეყნის აღორძინების პირველი ხუთწლიანი გეგმა დაისახა. მსოფლიო შეძრა მაშინ ამ უაღრესად რევოლუციურმა და ბევრის თვალში „უტოპისტურმა“ განზრახვამ. ბოლშევიკებმა, როგორც ყოველთვის, სიტყვა საქმედ აქციეს. დღეს ჩვენი ტრადიციის ერთგული საბჭოთა საზოგადოება და სახელმწიფო ერთ-ერთი უმძლავრესია მსოფლიოში, რომლის უდიდეს ავტორიტეტს მტრებიც კი აღიარებენ.

ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების შედეგი გახდა საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება — სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტი დემოკრატიის საზოგადოების აშენება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა განხორციელებას, მშრომელთა მაღალი ორგანიზებულობის, იდეურობისა და შეგნების საზოგადოების შექმნას. პარტიამ აღზარდა ახალი ადამიანი — კომუნიზმის აქტიური მშენებელი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი. ეს უდიდესი მიღწევები დამკვიდრებულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

წელს 12 აპრილს სრულდება ჩვენს ქვეყანაში „წითელი შაბათობის“ მოწყობის მე-60 წლისთავი. უშრეტია მისი სასიცოცხლო ალა. რესპუბლიკის საწარმოთა და დაწესებულებათა შაბათობის მომწყობ კომისიებში თითქმის დამთავრებულია სამუშაო პროგრამის შემუშავება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგან მაინც შეიმჩნევა საქმისადმი ფორმალური მიდგომა. ერთხელ გავალული გზის „კვლავ განმეორება“, შარშანდელი სამოქმედო გეგმის წლევანდელისადმი „მისადაგების“ ცდა და მისთანანი, რაც მანკიერ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს!

რამდენიმე დღეც და შრომითს დღესასწაულზე მილიონობით მშრომელი გამოვა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ წლევანდელ შაბათობაზე კვლავაც გამოვლინდება საბჭოთა საქართველოს მშრომელების მაღალი შეგნება და პატრიოტიზმი, დიდი ლენინის ანდერძის ურყევი ერთგულება, მშობლიური კომუნისტური პარტიის დროშის გარშემო მათი მტკიცე დარაზმულობა. მილიონთა ამ უანგარო და თავდადებულ გარჯაში კვლავაც ჩანს ბასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პრატიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა 1979 წლის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში.

მძლავრი ნაბიჯები

1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ვ. ი. ლენინმა განაცხადა: **„წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე, ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“.** იგი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნავთობის წარმოებასა და ექსპორტს.

ბათუმი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული პუნქტია. ამიტომაც გადაწყდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ბათუმში აშენებულიყო. საამისოდ შეარჩიეს ქალაქის აღმოსავლეთი გარეუბანი, მიდნარე ყოროლისწყალთან. ველზე სამუშაოები გაჩაღდა 1927 წელს, სახელდახელოდ აეგეს ხის რამდენიმე ბარაკი. მაშინ რაიმე სამშენებლო ტექნიკაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ერთადერთი ტრაქტორი ჰქონდათ და ისიც წამდაუწუმ ფუჭდებოდა.

ახალ საქმეს, მით უფრო, დიდ საქმეს მოუდგა სიძნელეები მოსდევს. წარმატება შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვება. მალე ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა ინტერნაციონალურ ობიექტად გამოცხადდა. დასახმარებლად ჩამოვიდნენ ბაქოელი და გროზნოელი სპეციალისტები, მშენებლობაში ჩაებმა მახლობელი რაიონების ახალგაზრდობა.

დღის წესრიგში დაისვა ადგილობრივი კადრების მომზადების საკითხი. ბაქოში გაიგზავნა ათობით ახალგაზრდა, მათ შორის ს. დოლიძე, მ. ბეჟანიძე, ვ. ქირია, ა. ჯიჯავაძე, ხ. სურმანიძე და სხვები. ამავე დროს ბათუმში გახსნა ნავთობის ტექნიკუმი.

მშენებლობის პარალელურად ხდებოდა ქარხნის ტექნიკური აღჭურვა, წამოიმართა ვეებერთელა კორპუსები. ეს იყო ნამდვილი შრომითი გმირობა. 1929 წლის მაისში ამუშავდა პირველი აგრეგატი და მიიღეს პირველი პროდუქცია. ხოლო 1932 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ბიტუმის დანადგარი.

აგრეგატს აგრეგატი მოჰყვა, შემდეგ — თბოელექტროცენტრალი. ფართო ფრონტით გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ველზე მთელი ქალაქი წამოიმართა. დაბაში ახლა ათი ათასი მცხოვრებია.

მომდევნო წლებში საწარმომ უფრო და უფრო გაშალა ფრთა. დამონტაჟდა ზეთების გამწმენდი მძლავრი დანადგარი. 35-ე დანადგარის ამუშავებით დაიწყო მაღალხარისხოვანი ბენზინის გამოშვება. ტექნიკურმა სიახლეებმა განაპირობა ის, რომ სამი სახეობის პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს, რაც საერთო პროდუქციის ნახევარზე მეტს შეადგენს. ახლა სამჯერ მეტი პროდუქცია გამოდის, ვიდრე პირველი ხუთწლედის ბოლოს. ბათუმელი მენავთობეები ამაყობენ, რომ მათი ნახელავი იგზავნება ოცზე მეტ სახელმწიფოში, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის იაპონია, ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, კუბა, საფრანგეთი და სხვ.

ქარხნის რეკონსტრუქცია დამთავრდება მეათე ხუთწლედში. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება წარმოების მოცულობა, კიდევ უფრო ამაღლდება პროდუქციის ხარისხი.

ქარხანაში ისევ წარმატებით შრომობენ ძველი გვარდიის სახელოვანი ადამიანები: ს. დოლიძე, ვ. ქირია, მ. ფიღაკ. და სხვები. მათი თაყვანდებული შრომა შესანიშნავი მაგალითია შემდგომი თაობებისათვის.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ კორ.

აღმასვლის გზაზე

აღმასვლის გზაზეა ქართული ნაუთობი — რამდენიმე მილიონ ტონას გადაამტა. დღითი დღე და წლითიწლობით განუწყვეტლივ მატულობს მოპოვება. თუმცა ყოველთვის ასეთი ბარაქიანი „ალოობა“ როდი ედგა ქართულ ნავთობს, მის ნახევარ საუკუნეზე მეტ ისტორიას, პირიქით, ერთთავად მწირმოსავლიანი და მწვავე პერიპეტიებით იყო აღსავსე.

... გაერთიანება საქნავთობი — ქართველ მენავთობეთა საბრძოლო შტაბი. გენერალური დირექტორის მოადგილის თ. წერეთლის კაბინეტი. აქ არის მეთაურთა შემადგენლობის ერთი ნაწილი — გეოლოგიური განყოფილების უფროსი გ. ნიკურაძე, გენერალური დირექტორის მოადგილე ბურღვის დარგში გ. არჯევანიძე, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი კ. იურკინი, საგეგმო განყოფილების უფროსი ს. ხიტირი და სხვ. ახლა ისინი სწორედ იმ პერიპეტიებს, განვლილი გზის აღმართ-დაღმართს იხსენებენ.

— ერთხანს საქმე იქამდე მივიდა, — ამბობს შ. ხიტირი, — რომ ოფიციალურად, ტრიბუნიდან თქვეს, ნავთობის ტრესტი გვაქვს, მაგრამ ნავთობი კი არაო.

— ეგ კი არა, — ჩამოართვა სიტყვა კიროვის ჩარხსაშენებელი ქარხნიდან 1945 წელს სპეციალურად აქ მოვლინებულმა, ახლა განყოფილების უფროსმა კ. იურკინმა, — სასაცილოდაც ავიგდეს.

უფრო ადრე ქართული ნავთობის კი არა, საერთოდ საბჭოეთისა და მისი ხუთწლედის არ სწამდა უცხოეთს. ინგლის-ჰოლანდიის „ნავთობის მეფე“ სერ ჰენრი დეტერნიგი 1930 წელს დაგვცინოდა, ბოლშევიკები აბსოლუტურად უნიჭო ადამიანები არიან, მათ არაფრის შექმნა არ შეუძლიათო, „რუსეთის განთავისუფლება გაცილებით უფრო ადრე შეიძლება მოხდეს, — ამბობდა იგი, — ვიდრე ყველას ჩვენ გვგონია. რამდენიმე თვის შემდეგაც კი.“

მაგრამ ხალხს უთქვამს, იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებსო.

ისე კი, მართლაც, სათქმელია. 30-იან წლებიდან მოყოლებული, როცა პირველი ხუთწლედის მონაპოვარში ჩაიწერა, რომ რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი დარგი — ნავთობის მრეწველობაო, 60-იან წლებამდე და თვით 1974 წლის აგვისტოს პირველ ნახევრამდე ისე მოაღწიეს, რომ თხევადი სათბობის წლიური მოპოვება რამდენიმე ათას ტონას არ აღემატებოდა.

სულს ღაფავდა საქნავთობი, ცოტაც და მისი ყოფნა-არყოფნა რეალობად იქცეოდა. მისი გაუქმების საკითხი უკვე იდგა სამინისტროს კოლეგიის დღის წესრიგში, რომ...

ეძიებდე და ჰპოვებდეო, იტყვიან და გამართლდა. სწორედ გაერთიანების ხელმძღვანელობის (გენერალური დირექტორი რ. თეზაძე) მამიებლობამ, შეუპოვრობამ, სიმტკიცემ, კოლეტივის მხარდაჭერამ და თავდადებამ გაიტანა თავისი, შეუდრეკლად გადალახა მრავალი სიძნელე, დაბრკოლება და მიზანთან გავიდა.

... 1974 წლის აგვისტო. სამგორი. მეშვიდე ჰაბურღილზე შადრევანმა იფეთქა... — აქ მჯდომთა სახეებს ნათელი მოეფინა. სასიამოვნოა მოსაგონებლად და იმიტომ.

— ნავთობის მდინარე წამოვიდა, — ამბობს გ. არჯევანიძე, — უჩვეულო რამ იყო. დღე-ღამეში 500 ტონას იძლეოდა!

— როგორღაც უხერხულადაც კი მეჩვენება შედარება, — ამბობს საეგმო განყოფილების უფროსი, — მაგრამ მას ვერსად გაექცევი, როგორც ცა და დედამიწა ისეთო — და დასახელა, რომ ახლა ქართველი მენავთობეები ერთ დღე-ღამეში (ჯარგად ჩაფიქრდით ნათქვამს!) ორნახევარჯერ მეტ სათბობს იღებენ, ვიდრე მთლიანად 1932 წელს — პირველი ხუთწლედის ბოლო წელს! ზრდის ტემპმა შარშან თვით 1975 წელთან შედარებით, როცა ღმამელობა დაიწყო, 940 პროცენტი შეადგინა, მაგრამ არც ეს არის ზღვარი.

ხარისხითა და სიიაფით სამგორულ ნავთობს ახლა ბადალი არ მოეპოვება მთელ ქვეყანაში. იგი მთლიანად საექსპორტოდ იგზავნება, და ეს გზა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე გადის.

ოცდაათიანი წლების ამბებიც გაიხსენეს, აზერბაიჯანელმა მენავთობეებმა რომ სენსაცია მოახდინეს და ხუთწლედი ორნახევარ წელიწადში შეასრულეს. მაშინ შირაქისა და მირზაანის ველებიდან ფეხს იდგამდა ჩვენი ნავთობი. მერე უფრო ახალ ამბებზე გადმოვიდნენ. საბჭოთა კავშირმა შარშან 152 მილიონი ტონით მეტი ნავთობი ამოიღო, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმაო, და ეამაყებოდათ, რომ ამ გამარჯვებაში მათი მოკრძალებული წვლილიც იყო.

— ასე გავედით მოწინავე მიჯნაზე, — ამბობს თ. წერეთელი, — უკანასკნელი ცხრა კვარტალია ზედიზედ გამოვდივართ გამარჯვებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მტკიცედ ვინარჩუნებთ სამინისტროს და დარგის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

ს. ხარაზიშვილი,
„კომუნისტის“ კორ.

სურათებზე: ზემოთ — (მარცხნივ) არქივიდან ამოღებულ ფოტოზე აღბეჭდილია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კრეკინგ-დანადგარის დამონტაჟება; მარჯვნივ — იმავე ქარხნის ვეტერანთა ჯგუფი — ზეინკალი პეტრე ბოგუნი, საწარმოს მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსი ინჟინერი ალი-ყაზბეგ ჩიჯავაძე, ვარლამ ულენტი, რომელიც ჯერ ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდა მიწის მთხრელად, შემდეგ ზეინკლად, ახლა კი პენსიაზეა და მაინც აქ არის დამხმარე მუშად; ქვემოთ — ნავთობის სამგორის უბნის № 66 ჰაბურღილის მოწინავე მბურღავები ჯ. ცინდელიანი, გ. თაბუკაშვილი და ბურღვის ოსტატი ვ. რეხვიაშვილი.

გ. გოგოხიას („კომუნისტი“) და ნ. ანასტასიევის (საქინფორმის) ფოტო.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

ენერგოგიგანტი მუშაობს და შენდება

ენგურჰესის სამმა მოქმედმა აგრეგატმა უკვე გამოიმუშავა 250 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, მაგრამ მშენებლობის ტემპი კვლავ ძლიერდება, და აი დღესაც სადისპეტჩეროში სასიხარულო ცნობები მოდის.

გვატყობინებს „სპეცჰიდროენერგომონტაჟის“ სამონტაჟო უბნის უფროსი გ. მარხაშვილი:

— სამონტაჟო სამუშაოები დავიწყეთ მეოთხე აგრეგატზე. დამთავრდა წყალმიმღების დისკოვანი საკეტების დამონტაჟების ყველა ძირითადი სამუშაო. „კაშხალის ქვედა ბიეფის ყველა საკეტი მზად არის მოვარდნილი წყლის მისაღებად.

მუშაობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნ. ბაშკიროვის ბრიგადამ, შემდოდებელმა ი. ბაბიევმა, მემონტაჟე ზეინკლებმა ნ. ჩიჩოვემა და ა. შიშოვმა.

მოგვახსენებს „კაშხალმშენის“ სამშენებლო სამმართველო:

ძლიერი წყალდიდობის, უამინდობის მიუხედავად, არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა თაღოვანი კაშხალის აგების მუშაობის ტემპი. მან უკვე მიაღწია 185-მეტრიან ნიშნულს. გეგმის მიხედვით დღე-ღამეში კაშხალის ტანში უნდა ჩაისხას 1290 კუბური მეტრი ბეტონი. ფაქტიურად მიმდინარე წლის დამდეგიდან არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ გეგმა გადაჭარბებით არ შესრულებულიყო. ცალკეულ დღეებში მებეტონეები ასხამდნენ 1986-2010 კუბურ მეტრ ბეტონს, ეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთელი წლების მანძილზე რეკორდული მაჩვენებელია. ბეტონის ჩასხმა მიმდინარეობს ოთხივე „ცაბელ-ამწით. ისევე როგორც წინათ, გამოირჩევიან მებეტონეები ნ. აკობია, გ. ხელაია, ო. ბლიაძე, ვ. შალამბერიძე, ა. მელიქოვი, შეარმატურეები ნ. რაზმოვი და ი. შკოლდინი, ამწის მემანქანეები ვ. ბელენკოვი, ლ. ტოლსკი, გ. მოროზი და სხვები.

უწყვეტი მოქმედების ბეტონის ქარხნის კოლექტივი მოწინავეა დამხმარე საწარმოთა საწარმოო გაერთიანებაში. მან აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 10 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და პირობასაც ასრულებს.

—მიწა-კლდის სამუშაოებზე წარმატებით შრომობს „გვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივი, — იუწყება მისი უფროსი ხ. შელია. — წლის დამდეგიდან განხორციელდა 15 ათას კუბურ მეტრზე მეტი მიწა-კლდის სამუშაოები. ასევეა მოცულობის სამუშაოები შეავსრულეთ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის სატრანსპორტო გვირაბშიც. რთული სამთო-გეოლოგიური პირობების მიუხედავად ყველა სამუშაო ვადამდე სრულდება. მისი კოლექტივის ინიციატივით გაჩაღდა შეჯიბრება, რათა გრაფიკთან შედარებით ერთი საათით ადრე შეასრულონ ცვლის ნორმები.

ენგურის ენერგოგიგანტი მუშაობს და შენდება.

თ. ჰეიშვილი,
საქინფორმის კორ.

ლენინური შაბათობა შაბათოგისათვის

თბილისი: საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ — 6000

ელექტრიკოსებმა ლენინური შაბათობა შრომის უმაღლესი ნაყოფიერების დღედ გამოაცხადეს. 21 აპრილს სამუშაოზე გამოვა გაერთიანების საწარმოთა ყველა მუშა და მოსამსახურე. დამზადდება 4 ათასი მაგნიტური ელექტროამძრავი, 6 ათასი ელექტროავტომატი, 280 მაგნიტური სადგური და სხვა ნაწარმი. სულ „წითელი შაბათობის“ დღეს გამოუშვებენ 171 ათასი მანეთის პროდუქციას, ხოლო ხუთწლედის ფონდში 6 ათასი მანეთი გადაირიცხება.

„კომუნისტის“ კორ.

ბათუმი: ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა — 1000

აქ ყველაფერი მზად არის შრომის დღესასწაულის შესახვედრად. საწარმოს შაბათობის მომწყობ შტაბში დაზუსტებულია ყველა უბნისა და საამქროს სამუშაო გეგმები. 21 აპრილს ქარხნის კოლექტივი 10 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს და ხუთწლედის ფონდში 1000 მანეთს გადარიცხავს. მუშა-მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი კეთილმოაწყობს საწარმოს ტერიტორიას.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალციხე: აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო — 500

სამოთოელები კარგად მოემზადნენ ვ. ი. ლენინის დაბადებისადმი მიძღვნილ შაბათობის შესახვედრად. შემუშავებულია გეგმები, რომლის თანახმადაც „წითელი შაბათობა“ შრომის უმაღლესი ნაყოფიერების დღედ უნდა გადაიქცეს. 21 აპრილს ყველა მადანმომპოვებელი გამოვა სამუშაოდ. ისინი გამოუშვებენ 5 ათასი მანეთის პროდუქციას. ეს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 500 მანეთს.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ცხინვალი: ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანა — 2000

საწარმოს ყველა მუშა-მოსამსახურე მიიღეს მონაწილეობა ლენინურ შაბათობაში. შრომის დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში აქ გამოვლინებულია ახალი რეზერვები. ამ დღეს ქარხნის კოლექტივი 10 ათასი მანეთის მანქანებს გამოუშვებს და ხუთწლედის ფონდში 1000 მანეთს გადარიცხავს.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეგობრულ ვითარებაში

10 აპრილს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა იამაიკის პრემიერ-მინისტრის მაიკლ მენლის პატივსაცემად.

პრემიერ-მინისტრთან ერთად იყვნენ იამაიკის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მას მოგზაურობის დროს ახლავან.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, პ. ნ. დემიჩევი, ნ. ა. ტიხონოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ა. ნ. კოსიგინმა და მ. მენლომ წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ. სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. დიმიტრი ლევანის ძე ქართველიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1979 წლის 10 აპრილი.

□

დიმიტრი ლევანის ძე ქართველიშვილი, 1927 წელს დაბადებული, ქართველი, სკკპ წევრი 1956 წლიდან, უმაღლესი განათლებით, ინჟინერ-მექანიკოსი; 1951 წელს დამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

თავისი შრომითი მოღვაწეობა ამხ. დ. ლ. ქართველიშვილმა დაიწყო 1951 წელს ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორად. ამ საწარმოში მან 20 წლის მანძილზე იმუშავა და გაიარა გზა რიგითი ინჟინრიდან ქარხნის მთავარ კონსტრუქტორამდე და მთავარ ინჟინრამდე.

1971 წელს ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1975 წელს იგი გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და დანიშნა მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგედ, სადაც მუშაობდა 1976 წლამდე, როცა დანიშნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1978 წლიდან ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგედ.

ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი დაჯილდოებულია სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დასვენების დღე 28 აპრილის შაბათიდან გადატანილ იქნეს 1979 წლის 30 აპრილს, ორშაბათს.

ტემპი იმატებს

ახალქალაქელ მეკარტოფილეთა სოციალისტური ვალდებულებები

ახალქალაქი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვაში წამოყენებული საპროგრამო მითითებებით და ჩვენი რესპუბლიკის მიმდინარე წლის 12 მარტის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებებით, მიზნად დაისახეს მეათე ხუთწლედის დარჩენილ დროში გაადიდონ კარტოფილის წარმოებისა და დამზადების ზრდის ტემპი, მთლიანად გადაფარონ წინა სამი წლის დანაკლისი და ვადამდე შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებები.

ამ საკითხს მიეძღვნა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მოხსენება გააკეთა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ნ. ალელიშვილმა. როგორც მოხსენებაში, ისე გამოსვლებში ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ რაიონის მეკარტოფილეებმა გეგმის შესრულებას ბოლო სამ წელიწადში დააკლეს 7 ათასი ტონა კარტოფილი. ამის მიზეზი მარტო უამინდობა როდი იყო. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უხარისხოდ შესრულდა კარტოფილის მოვლა-მოყვანის სამუშაოები. ჯერ კიდევ ყველგან არ ინერგება ბურნაშვილი და ვაჩიანელ მოწინავე მეკარტოფილეთა გამოცდილება. ვერ იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების მოწინავე მეთოდებს და სხვ. ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

აქტივის კრებაზე მიიღეს ახალი სოციალისტური ვალდებულებები.

კრების მონაწილეებმა რაიონის მშრომელთა სახელით კარტოფილის წარმოებისა და დამზადების ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. **გადაწყვიტეს წლიულს კარტოფილი დათესონ 3,200 ჰექტარზე;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ყურადღება — სამეცნიერო კადრებს

რაიკომი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციები

ჩვენს რაიონს სამართლიანად უწოდებენ მეცნიერების რაიონს. აქ თავმოყრილია ორმოცზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, მათგან — 16 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი, სადაც ნაყოფიერად შრომობენ აკადემიკოსები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტები, დოქტორები, მეცნიერებათა კანდიდატები...

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდია მეცნიერების როლი პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელების, ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლის საქმეში. ეს ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. „ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — იმ მეცნიერთა და სპეციალისტთა შუამბასა, რომლებიც შრომობენ დარგობრივ კვლევითს ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებში და უშუალოდ უზრუნველყოფენ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას“.

საერთოდ, ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წინაშე მეტად პასუხსაგები ამოცანები დაიყენა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა, კვლევითი დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების თაობაზე საქმიანი სხა-ბაასი გაიმართა თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზეც, სადაც კონკრეტულად განისაზღვრა აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში მეცნიერების მნიშვნელობა და როლი, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ძირითადი მიმართულებების გზები, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, გამოკვლევების ხარისხის გაუმჯობესებას, მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირის განმტკიცების მრავალი ახალი საინტერესო ფორმა: მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, იქმნება კომპლექსური ბრიგადები, სამინისტროებსა და საწარმოებთან ხანგრძლივი თანამშრომლობის მსხვილმასშტაბური პროგრამები, ქარხნებსა და კომბინატებთან იდება ინსტიტუტების კომპლექსური თანამშრომლობის ხელშეკრულებები...

ყოველივე ეს მუშაობის შედეგზე მეტად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს. მაგალითად, მეტალურგიის ინსტიტუტისა და რუსთავის ქიმიური კომბინატის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად კომბინატში დაინერგა ინსტიტუტის მუშაკთა მიერ შემუშავებული ახალი უნიკალურ უეანგავი ფოლადების წარმოება, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა კაპროლაქტამის ხარისხი და შაან სახელმწიფოს მილიონი მანეთი დაუზოგა.

ამ ფორმებმა და მეთოდებმა საშუალება მოგვცა აგრეთვე განგვემტკიცებინა მეცნიერებისა და წარმოებიბ კავშირი, გამოგვევლინა და სრულად გამოგვაყენებინა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის არსებული რეზერვები. ახლახან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა და მოიწონა ამ მხრივ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიბერნეტიკის და მეტალურგიის ინსტიტუტების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ელვას“ პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა.

უთუოდ მეტად კარგი და მხარდასაჭერია მეტალურგიის ინსტიტუტის პარტორგანიზაციის ინიციატივა, რომელმაც წლეულს თებერვალში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ კომიტეტთან ერთად მოაწყო გაფართოებული სხდომა. აქ განხილულ ინსტიტუტის მიერ ქარხანაში გაწეული მუშაობის შედეგები, გამოაკლინეს სამეცნიერო ნამუშევართა დანერგვის ხელშემშლელი მიზეზები, დასახეს მათი გამოსწორების საშუალებები. სხდომაზე გამოითქვა მთავალი კრიტიკული შენიშვნა ინსტიტუტისა და ქარხნის მიმართ. უკეთ მუშაობის მიზნით მიღებულ იქნა კონკრეტული დადგენილება, რომლის შესრულების მიმდინარეობას განიხილავენ ყოველკვარტალურად, ხოლო საბოლოო შედეგებს წლის ბოლოს გაერთიანებულ სხდომაზე შეაჯამებენ, ანალოგიური სხდომა გაიმართა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა, კვლევითი დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების თაობაზე ხარისხი და შაან სახელმწიფოს მილიონი მანეთი დაუზოგა.

ამ ფორმებმა და მეთოდებმა საშუალება მოგვცა აგრეთვე განგვემტკიცებინა მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირის განმტკიცების მრავალი ახალი საინტერესო ფორმა: ბუნაჩიძეს (ინდიკატორთა ინსტიტუტი) და მაღაზიის (ინდიკატორთა ინსტიტუტი) ერთობლივ ბრიგადებში მოუმარაგებლობის გამო ინსტიტუტებიდან მოსულ ინჟინერ-ტექნიკოსებს ნაცვლად აირჩიეს გამოცდილი, პატიოსანი მუშაკები.

— საუბნო კრებები ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით, მაღალ დონეზე გაიმართა?

— სამწუხაროდ, არა. ვანის, წალკის, აბაშის და სხვა საუბნო კრებები ნაკლები აქტიურობით არაორგანიზებულად, მოუმზადებლად, გრაფიკის დარღვევით მიეწყო.

— მიზეზი?

— რა თქმა უნდა, თავიდათავი დამნაშავე თვით კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობები არიან. მაგრამ ამაში უთუოდ ბრალი მიუძღვით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსაც, რომლებმაც, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ უხელმძღვანელეს და ვერ უზრუნველყვეს აღნიშნული საუბნო კრებების მაღალ დონეზე მომზადება-მოწყობა.

დაიწყო რაიკოოპერატივებისა და რაიკოოკავშირების რწმუნებულთა კრებები, რომლებიც გაგრძელდება 30 აპრილამდე.

ამჟამად კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობების გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ დასახონ პრაქტიკული ღონისძიებები ანგარიშგება-არჩევნების დაწყებულ ვადებში და მაღალიდეურ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად. რწმუნებულთა კრებებზე მტკიცედ უნდა იქნეს დაცული სამომხმარებლო კოოპერაციის დემოკრატიული პრინციპები, გაიშალოს ჯანსაღი, საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა კოოპერაციული საქმიანობის სრულყოფის, ვაჭრობის კულტურის შემდგომი ამაღლების, მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების მიზნით.

ცეკავშირის გამგეობა გამოთქვამს რწმენას, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე და საქმიან ვითარებაში მოეწყობა, რაც ხელს შეუწყობს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, კოოპერატიკის წევრთა ინიციატივის და აქტიურობის ამაღლებას, მეათე ხუთწლიდის გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულებას.

მაისში სრულდება ცეკავშირის მე-60 წლისთავი, ნოემბერში კი სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა X ყრილობა გაიმართება. ეს თავისთავად ბევრ რამეს გვავალებს.

„ კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს “ ი ნ ტ ე რ ვ ი უ

საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოოპერაციულ ორგანიზაციებში

კოოპერატორები ბჭოზე

გულმოდგინედ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის კოოპერატორები საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVIII ყრილობის შესახვედრად, რომელიც ზაფხულის პირველ თვეს (15-16 ივნისს) უნდა გაიმართოს. ამჟამად კი მიმდინარეობს სამმართველო და საკონტროლო ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია.

უკვე დამთავრდა მეპაიეთა საუბნო კრებები, 10 აპრილიდან მუშაობას შეუდგა რაიკოოკავშირებისა და რაიკოოპერატორების რწმუნებულთა კრებები. მაისში გაიმართება აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის კოოკავშირების რწმუნებულთა ყრილობები.

ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს კ. შავიშვილს.

— რა ნიშნით მიმდინარეობდა სამომხმარებლო კოოპერაციის წევრ მეპაიეთა საუბნო კრებები?

— მეპაიეთა ფართო მასების აქტივიზაციისა და კოოპერაციულ ორგანიზაციების მუშაკთა სრული მობილიზაციის ნიშნით, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ კრებებში მონაწილეობა მიიღო 900 ათასზე მეტმა კოოპერაციის წევრმა მეპაიემ.

რა წვლილი შეეტანეთ სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა სსრ კავშირის IX და საქართველოს XVII ყრილობების გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, რა გავაკეთეთ და კიდევ რისი გაკეთება შეგვიძლია სოფლის მოსახლეობის საკვებო მომსახურების გაუმჯობესებაში, საქონლის გაყიდვის პროგრესული ფორმების დანერგვისა და ვაჭრობის კულტურის ამაღლებაში... — ამ ფიქრებით მოდიოდნენ ჩვენი კოოპერატორები თავიანთ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. მოდიოდნენ და... მეპაიეებთან ერთად ისმენდნენ მომხმარებელთა საზოგადოებების გამგეობებისა და საკონტროლო-სარევიზიო კომისიების 1978 წლის საქმიანობის, საზოგადოებრივ-მასობრივი კონტროლის კომისიების თავმჯდომარეების, მაღაზიებისა და სასადილოების გამგეების ანგარიშებს, განიხილავდნენ წინათ მიღებული განაწესების შესრულებას, სახადდნენ მუშაობის გაუმჯობესების გზებს, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ცეცხლში ატარებდნენ ვაჭრობაში გამოვლინებული ნეგატიური მოვლენების თითოეულ ფაქტს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V, VIII და მომდევნო პლენუმების მიერ დასახული ამოცანების შესრულების მდგომარეობას, გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს, რომელთა მიზანია ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სბითუმო სავაჭრო ბაზებისა და ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად გარდაქმნა.

ასეთი საქმიანი სხა-ბაასი გაიმართა გორის რაიკოოკავშირის სკრის საცდელი მეურნეობის საუბნო კრებაზე. ამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ქერდღაყოშვილმა მწვავედ დააყენა სავაჭრო ობიექტების დაცვის გაუმჯობესების საკითხი, მოითხოვა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის აშენება, მაღაზიებში გათბობის სისტემის მოწყობა. მეპაიემ, მეურნეობის მთავარმა აგრონომმა თ. მძინარაშვილმა საყვედური გამოთქვა მუშათა სასადილოს საჭირო პროდუქტებით მოუმარაგებლობის გამო, აღძრა პურის საცხობის აღდგენის საკითხი. მეურნეობის უბნის უფროსმა მ. ჟურტანიძემ კი ილაპარაკა საწარმოების მიერ უხარისხო პროდუქციის გამოშვების შესახებ.

აქტიურად, მაღალ იდეურ დონეზე წარიმართა აჭარკოოკავშირის სისტემის, გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის, საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის და სხვა რაიონების საუბნო კრებებიც.

— რამ განაპირობა სამომხმარებლო კოოპერაციაში დემოკრატიულ პრინციპებზე არჩევითობის დანერგვა? რა როლს ასრულებს იგი სოფლის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისწ და ხარისხის ამაღლებაში, სახელმწიფო ქონების დამტაცებლებისა და გამფლანგველების, ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში?

— სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში საანგარიშო-საარჩევნო კრებები დიდმნიშვნელოვანი ეტაპია. მას დიდი როლი აკისრია ვაჭრობის სისტემის დარგების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმეში. ნაკლოვანებები კი ცოტა როდი გვაქვს. სწორედ ამ ნაკლოვანებების — მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მატერიალური დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული ხარვეზების გამო ჩვენ

„ARSEBITI SRULI UPFLEBA MOITITHOVS SOFLIS VAWROBIS ORGANIZACIA. UKETESI UNDA SEVEBIWRAVLITI MOMSAXLEOBIS MOTHOVNEBA, UFRO UNARIANAD GAVWIOTI SASAKONLO RESURSEBIS MANEVRI, ARSEBITAD GAVWIOTI FORMALURI MIMSAXUREBIS PROGRESULI METODEBISA DA FORMEBIS DANERGVIS DROS“.

SKKP CENTRALURI KOMITETIS 1978 WLIS IVLISIS PLENUMIDAN.

ცეკავშირი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული გაზეთ „პრავდის“ მიმდინარე წლის 9 აპრილის მოწინავეში „სამომხმარებლო კოოპერაციის ანგარიშგება-არჩევნები“.

გაზეთ „პრავდის“ გამოსვლა იმავე დღეს განიხილეს ცეკავშირის აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე და დასახეს სასწრაფო ღონისძიებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ანგარიშგებასთან ერთად საუბნო კრებებზე მიმდინარეობს მაღაზიების, სასადილოების, რესტორნების და სხვა კოოპერაციული საწარმოების დირექტორებისა და კოოპერაციული კონტროლის კომისიების წევრთა არჩევნები.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ხალხისთვის ეკეთდება და ყველაფერს ხალხივე ქმნის. ამიტომ ცხადია, მეპაიე ყოველნაირად შეეცდება თავისი ხელით შექმნილი პროდუქცია, რომელიც მასვე უნდა მოხმარდეს, ხელში არ ჩაუდგოს საქმის უცოდინარ და უპატრონო პიროვნებებს. იგი მას ანდობს მაღალი პოლიტიკური შეგნებისა და მორალის მქონე, საქმის მცოდნე, ავტორიტეტიან კოოპერატორს.

მეპაიე რეკომენდატორად, როლშიც გამოდის — როდესაც მაღაზიის გამგის ან სხვა კოოპერაციული საწარმოს დირექტორის კანდიდატურას ასახელებს, ამით მას რეკომენდაციას აძლევს. მაგრამ ზოგჯერ ხდება, რომ მის მიერ არჩეული კოოპერატორი ნდობას ვერ ამართლებს და, როგორც სახელმწიფო ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევე, გასასჯელის სკამზეც აღმოჩნდება ხოლმე. ალბათ იტყვით, ასე რატომ უნდა ხდებოდეს? ის ხომ ხალხის არჩეულია? სამწუხაროდ, ზოგჯერ მომსახურების სისტემაში მუშაობა კაცის ყოფაქცევის, პატიოსნების, კეთილსინდისიერების საზომად და, ვიტყოდით, სასინჯ ქვადაც იქცევა ხოლმე.

შესაძლოა ამას ხელს ისიც უწყობდეს, რომ ხშირად ამა თუ იმ სოფლის მაღაზიის გამგედ სხვა სოფლის მკვიდრს ირჩევენ ხოლმე. ეფიქრობ, ეს არაფრით არ არის გამართლებული. უდავოა, თანასოფლელი უკეთ იცნობს თავისი სოფლისა და ხალხის ავკარგს, ვიდრე გარეშე კაცი. ეს იგი მომხმარებლის მოთხოვნილებებსა და სურვილებში ღრმად ჩაწვდომისა და მათი გათვალისწინების მეტ შესაძლებლობას იძლევა, რაც ვაჭრობის კულტურის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

რაც მთავარია, მეპაიეს უფლება აქვს ვაჭრობის წესების დარღვევაში შეჭნილეულს უხდობლობა გამოუცხადოს და აღარ აირჩიოს. ასეც მოხდა ზოგიერთ კრებაზე.

— ხომ ვერ დაგვისახელებთ ამის კონკრეტულ მაგალითებს?

— ვანის რაიკოოპერატივის სულორის საუბნო კრებაზე პურის მცხობელთა ბრიგადირი ლ. დვალიშვილი გააკრიტიკეს საცხობში არსებული ანტისანიტარიის, პირადი ჰიგიენის დაუცველობის და ცუდი ხარისხის პურის გამოშვებისათვის, რის გამოც აღნიშნულ თანამდებობაზე აღარ აირჩიეს.

მეპაიეებმა გზა გადაუკეტეს და ნდობა აღარ გამოუცხადეს აგრეთვე გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის № 54 სასადილოს გამგემეუფეტეს ვ. კაციტაძეს, თიანეთის რაიონის სოფელ ხევსურსოფლის სამეურნეო მაღაზიის გამგეს გ. ოთარაშვილს (ვაჭრობის წესების დარღვევისათვის); ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხნარის მაღაზიის გამგე-გამყიდველს ბ. ხარაძეს (შეუფერებელი, უტაქტო მოქცევების, მომხმარებელთა მიმართ უყურადღებობის, გამოჩენილათვის); ამავე რაიონის სოფელ ვანის მაღაზიის გამგე გ. ყიფიანს (ბ. ბუბაჩიძეს (ინდიკატორობისა და მაღაზიის [illegible] მოუმარაგებლობის გამო) და ასევე, რომელთა ნაცვლად აირჩიეს გამოცდილი, პატიოსანი მუშაკები.

— საუბნო კრებები ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით, მაღალ დონეზე გაიმართა?

— სამწუხაროდ, არა. ვანის, წალკის, აბაშის და სხვა საუბნო კრებები ნაკლები აქტიურობით არაორგანიზებულად, მოუმზადებლად, გრაფიკის დარღვევით მიეწყო.

— მიზეზი?

— რა თქმა უნდა, თავიდათავი დამნაშავე თვით კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობები არიან. მაგრამ ამაში უთუოდ ბრალი მიუძღვით ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსაც, რომლებმაც, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ უხელმძღვანელეს და ვერ უზრუნველყვეს აღნიშნული საუბნო კრებების მაღალ დონეზე მომზადება-მოწყობა.

დაიწყო რაიკოოპერატივებისა და რაიკოოკავშირების რწმუნებულთა კრებები, რომლებიც გაგრძელდება 30 აპრილამდე.

ამჟამად კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობების გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ დასახონ პრაქტიკული ღონისძიებები ანგარიშგება-არჩევნების დაწყებულ ვადებში და მაღალიდეურ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად. რწმუნებულთა კრებებზე მტკიცედ უნდა იქნეს დაცული სამომხმარებლო კოოპერაციის დემოკრატიული პრინციპები, გაიშალოს ჯანსაღი, საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა კოოპერაციული საქმიანობის სრულყოფის, ვაჭრობის კულტურის შემდგომი ამაღლების, მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების მიზნით.

ცეკავშირის გამგეობა გამოთქვამს რწმენას, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე და საქმიან ვითარებაში მოეწყობა, რაც ხელს შეუწყობს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, კოოპერატიკის წევრთა ინიციატივის და აქტიურობის ამაღლებას, მეათე ხუთწლიდის გეგმებისა და დავალებების წარმატებით შესრულებას.

მაისში სრულდება ცეკავშირის მე-60 წლისთავი, ნოემბერში კი სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა X ყრილობა გაიმართება. ეს თავისთავად ბევრ რამეს გვავალებს.

მაღალი მიჯნები

ბრაფიკის გასწრებით მუშაობს წულუკიძის პოლიმერკონტეინერული ქარხნის კოლექტივი. წლის დამდეგიდან წარმოებულია რამდენიმე ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ამჟამად საწარმო 12-ნაირ ნაკეთობას უშვებს. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა პოლიეთილენის ტარაზე, რომელსაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

სურათებზე: პოლიეთილენის აფსკის საამქრო; პოლიეთილენის ტარის საამქროს მოწინავე მუშაკები — შემფუთველი ნანა გელდენიძე და დამხარისხებელი მანანა გენძეხაძე.

შ. კრიმსკისა და ბ. ბერსამისას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ გ ა ს ა ს ლ ი “ წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით „საქშახტმშენის“ ტრესტის კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და დარგის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

მაგრამ ამ სასიამოვნო მოვლენასთან დაკავშირებული სიხარული ტრესტის მუშაკებისათვის სევდანარევი იყო: რატომ? იმიტომ, რომ საერთო კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღმა სერიოზული ნაკლი იმალებოდა. არ შესრულდა ძირითადი შემკვეთის — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ მარშანდელი საიჯარო სამუშაოების გეგმა. ასეთივე მდგომარეობა იყო ხუთწლედის პირველ და მეორე წლებში, ჩამორჩენა წელსაც გრძელდება.

დონბასელ მეშახტეებს უთქვამთ, რომ მშენებარე შახტი ყოველთვის ვარსკვლავის მოლოდინშიაო. შახტის თავზე აფცილებლად უნდა აციმციმდეს წითელი ვარსკვლავი — მეშახტეთა გმირული შრომის დიდების სიმბოლო. და ეს რომ მალე მოხდეს, აქ მშენებლებმა უნდა თქვან პირველი სიტყვა. შახტზე ვადამდე აკიაფებული ვარსკვლავი ხომ მშენებლების შემართულ შრომასაც მოჰფენს თავის სხივებს. ასეა დონბასში, ასე იყო ტყიბულშიც და ტყვარჩელშიც... წინათ, დიახ, იყო დრო, როცა ტრესტი გაცილებით მეტი მოცულობის სამუშაოებს ასრულებდა და გეგმებსაც მშვენივრად ართმევდა თავს! მაგრამ უკვე კარგი ხანია, რაც მდგომარეობა შეიცვალა. ვერ იქნა და ვერ ამოციმციმდა ტყიბულში მშენებარე დასავლეთ-2 შახტის ბედის ვარსკვლავი, რომლის სიღრმიდანაც წელიწადში 600 ათასი ტონა საწვავი უნდა ამოიღონ.

მშენებარე ობიექტი, თავდაპირველი გეგმით, 1967 წელს უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, მაგრამ მისი მდგომარეობა დღესაც, მშენებლობის მეთვრამეტე წლისთავზეც გაურკვეველი რჩება, რამდენჯერმე მოხდა გეგმის კორექტირება, არაერთხელ გადაიწია მშენებლობის დამთავრების ვადებმაც. ამას წინათ კვლავ დამტკიცდა შახტის მწყობრში ჩადგომის ახალი ვადა 1981 წლისათვის, რომელიც სპეციალისტებს არ მიაჩნიათ რეალურად, თუ მშენებლობის ტემპი არსებულ დონეზე დარჩება. დიახ, დღეისათვის შახტის მშენებლობაზე ათვისებულია მთელი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნახევარზე ცოტა მეტი. თუ სამუშაოების წარმოება ასეთივე „გიგანტური“ ნაბიჯებით განხორციელდება, არის მისი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მშენებლობის 36-ე წლისთავზე ალბათ შახტის საექსპლოატაციოდ გადაცემას „ვიზეიმებთ“. და ეს მაშინ, როცა ასეთი სიმძლავრეების ობიექტების მშენებლობის მაქსიმალური ვადა 6-7 წელიწადია.

აი ამ პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთის აზრიც: „საქშახტმშენის“ ტრესტის მმართველი ო. მარგველაშვილი შექმნილ მდგომარეობაში ადანაშაულებს საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირს“. მისი მტკიცებით, მთავარი შემკვეთი საწარმოო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას ვერ ართმევს თავს, დროულად ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო ობიექტებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, დასახულ ვადებში არ მზადდება სამუშაოთა ფრონტი, დიდი დაგვიანებით თავისუფლდება მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია, წლობით ჭიანურდება იმ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობდა მშენებლობის საექსპლოატაციოდ გადაცემას „ვიზეიმებთ“. და ეს მაშინ, როცა ასეთი სიმძლავრეების ობიექტების მშენებლობის მაქსიმალური ვადა 6-7 წელიწადია.

აი ამ პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთის აზრიც: „საქშახტმშენის“ ტრესტის მმართველი ო. მარგველაშვილი შექმნილ მდგომარეობაში ადანაშაულებს საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირს“. მისი მტკიცებით, მთავარი შემკვეთი საწარმოო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას ვერ ართმევს თავს, დროულად ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო ობიექტებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, დასახულ ვადებში არ მზადდება სამუშაოთა ფრონტი, დიდი დაგვიანებით თავისუფლდება მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია, წლობით ჭიანურდება იმ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობდა მშენებლობის საექსპლოატაციოდ გადაცემას „ვიზეიმებთ“. და ეს მაშინ, როცა ასეთი სიმძლავრეების ობიექტების მშენებლობის მაქსიმალური ვადა 6-7 წელიწადია.

ეს კი იმის ბრალია, რომ გეგმარაბგამყვანთა ბრიგადები არ არიან დატვირთული, სრულდება გეგმით გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობის მხოლოდ 40-50 პროცენტი! და, ბუნებრივია, ასეთ პირობებში დაბალია მუშათა მატერიალური დაინტერესება.

არც საქართველოს „შახტპროექტის“ სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი შ. ხოფერია უცხადებს სოლიდარობას ტრესტის მმართველ ამხ. ო. მარგველაშვილს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლები — მთავარი ინჟინრის მოადგილე ა. პაპიაშვილი, პროექტის მთავარი ინჟინერი ვ. ყიფიანი, სამთო განყოფილების უფროსი მ. მირზაშვილი აცხადებენ, რომ ტყიბულის შახტი დასავლეთ-2 ყოველთვის უზრუნველყოფილია სამუშაო პროექტებით და აქ ამ მხრივ მშენებლებს სასაყვედურო არაფერი აქვთო. სხვათა შორის, დამპროექტებლებს შექმნილი ვითარების ერთერთ მიზეზად „საქშახტმშენის“ ტრესტის, და საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ შეუთანხმებელი მუშაობა მიაჩნიათ. „აკი“ ენები ამბობენ, რომ ამ ორი ორგანიზაციის ურთიერთობა არცთუ ისე სახარბიელოაო. მშენებლობის გაჭიანურების საქმეში მოიჯარე ორგანიზაციასთან ერთად არანაკლებ, და ზოგჯერ შეიძლება მეტადაც, შემკვეთი — გაერთიანება „საქქვანახშირი“ სცოდავს: აი ერთი მაგალითი: 1965 წელს შახტის მშენებლობისათვის გაერთიანებამ გამოყო 757 ათასი მანეთი, მომდევნო წელს ამ თანხის მხოლოდ მესამედი — 229 ათასი მანეთი, 1969 წელს — 415 ათასი მანეთი, 1970 წელს — 800 ათასი მანეთი, 1976 წელს — 400 ათასი მანეთი, შარშან — 800 ათასი მანეთი. ახლა ხომ გასაგებია, თუ რა „დახმარებას“ უწევს „საქშახტმშენის“ ტრესტის კოლექტივს სახსრების ასეთი „სტაბილური“ განაწილება კადრების შენარჩუნების საკითხში?

არის კიდევ ერთი „ობიექტური“ მიზეზი, რომელიც მშენებელთა დანაშაულს შედარებით ამსუბუქებს. ეს გახლავთ მშენებლობის პროექტში და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების ხშირი შეტანა. თავდაპირველი პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო შახტის სივრცის ბეტონით გამაგრება. შემდეგში, სამთო დაწნევის განვითარების გამო ეს მეთოდი აღარ გამოდგა და გადაწყდა ბეტონი რკინა-ბეტონით შეეცვალათ. ამას თან დაერთო საშენ მასალათა გაძვირებაც, რაც თავისთავად გულისხმობდა ძველი ხარჯთაღრიცხვის მთლიან გადასინჯვას. ყველაფერი ეს კი დიდხანს გაჭიანურდა.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ წინათ შახტმშენებლები გაცილებით მეტი მოცულობის სამუშაოებს ასრულებდნენ და წარმატებებიც დიდი ჰქონდათ. მაშინ „საქშახტმშენის“ ტრესტი სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა და მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონია. მდგომარეობა შეცვლილა მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაჰქვემდებარება. ახლა ტრესტი შახტებისა და მაღაროების გარდა, უამრავ სამრეწველო საწარმოებს, საცხოვრებელ სახლებს, კავშირგაბმულობის კვანძებს, სკოლებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობულების ობიექტებს აშენებს, რასაც ზოგიერთი ძირითად საშუშაოთა შეუსრულებლობის ერთერთ მიზეზად ასახელებს. მაგრამ ამის მტკიცება საფუძველმოკლებულია.

დიახ, ტრესტის კოლექტივის მიერ მარნეულის, ბოლნისის, ამბროლაურის და ტყვარჩელის რაიონებში აშენებული სამრეწველო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები და სკოლები არავითარ შემთხვევაში არ უშლის ხელს ტყიბულის შახტის საექსპლოატაციოდ დროულ გადაცემას. ჩვენი აზრით, შახტის მშენებლობის გაჭიანურების მთავარი მიზეზი კვალიფიციურ გვრაბგამყვანთა ნაკლოვანებაა. საჭიროა ორჯერ მეტი მუშა, ვიდრე აქ ამჟამად არის დასაქმებული.

ისიც ხომ ცნობილია, რომ საერთოდ ტყიბულის რაიონი არ განიცდის შრომითი რესურსების ნაკლოვანებას. ამას ისიც მოწმობს, რომ იქაურ მაღალი კვალიფიკაციის გვრაბგამყვანებს ბევრს შეხვდებით დღეს, მაგალითად, ერინგალჩესისა და თბილისის მეტროს სამშენებლო ორგანიზაციებში. მაშ რატომ უნდა წავიდეს ტყიბულელი კაცი ერთ ვალში, თუ მას შინ მუშობის კარგი პირობები აქვს? თურმე ერინგალესა და თბილისში გვირაბგამყვანებს სულ მოკლე დროში აკმაყოფილებენ საცხოვრებელ ბინით და სხვა პირობებსაც უმნიშვნელოდ ნაყოფიერი შრომისათვის. ტყიბულში კი ასე არ ხდება. იქნებ, ეს საკითხი მიივიწყა, ყველამ? არა, პირიქით, სახელმწიფომ უხვად გაიღო საამისო თანხა, მაგრამ რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველო მუშაკებს „არ სცალიათ“ საცხოვრებელი სახლების პროექტების შესადგენად.

საწარმოო სიმძლავრეთა ვადაზე და ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემის საკითხი უმნიშვნელოვანესია. ამაზე გაამახვილა განსაკუთრებული ყურადღება თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ბრეჟნევმა. ეს საკითხი გახლავთ ყურადღების ცენტრში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII და XIV პლენუმებზე.

„საქშახტმშენის“ ტრესტის კოლექტივს ცუდი შრომითი

საერთაშორისო ცხოვრება
დღეღამის ჩანაწერი

● პეკინის ხელმძღვანელობის ავანტიურისტულმა მოქმედებამ აღაშფოთა მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ● ეგვიპტის სრული იზოლაცია ახლო და შუა აღმოსავლეთში ● იამაიკა პროგრესის გზაზე ● ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ „დაისაჯა“ ბანკის მძარცველი — მილიონერის ქალიშვილი — პატრიცია ჰერსტი.

პროგრესის გზით

ჯორჯთაუნი, 9 აპრილი. (საკდესი). იამაიკაში წარმატებით ხორციელდება პროგრესული სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა პროცესი, რომელიც პრემიერ-მინისტრ მაიკლ მენლის მეთაურობით სახალხო ეროვნული პარტიის მთავრობის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო. იგი იღებს იმისათვის, რომ ქვეყანას დაუბრუნდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და გაუმჯობესდეს მოსახლეობის უღარიბესი ფენების მდგომარეობა. მთავრობის შემდგომი კურსის განსაზღვრაში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს არის მიღებული. ეს არის ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომლის მიზანია ახალი, თანასწორუფლებიანი საზოგადოების აშენება.

იამაიკა მსოფლიოში სარგებლობს მზარდი ავტორიტეტით თავისი საგარეო პოლიტიკის ანტიიმპერიალისტური მიმართულების მეობებით. რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობს მიუმხრობის მოძრაობაში, ილაშქრებს იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ხალხთა ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

უკანასკნელ წლებში წარმატებით ვითარდება იამაიკის კავშირი სოციალისტურ ქვეყნებთან. ფართოდ ვითარდება მისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ხორცს ისხამს სამთავრობათაშორისო შეთანხმება, რომელიც სსრ კავშირმა და იამაიკამ დადეს ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა კავშირ-იამაიკის საპაერო მიმოსვლის შეთანხმების. შესაბამისად ამოქმედდება საპაერო ხაზი, რომელიც ორი სახელმწიფოს დედაქალაქებს დაუკავშირებს. წითელალმიანი გემები სულ უფრო ხშირად დგებიან კინგსტონის — თანამედროვე წყალლრმა ნავსადგურში. ორივე ქვეყანა რეგულარულად უცვლის ერთმანეთს პროფკავშირულ და საზოგადოებრივ დელეგაციებს. ყოველთვის გულთბილად, გულითადად ხვდებიან იამაიკაში საბჭოთა შემოქმედებითს კოლექტივებს.

გადამწყვეტი ღონისძიებანი

თეირანი. 9 აპრილი. (საკდესი). ირანის ხელისუფალნი გადამწყვეტ ღონისძიებებს ახორციელებენ ქვეყანაში შაჰის მომხრე და სხვა რეაქციული ელემენტების კონტრრევოლუციური საქმიანობის აღკვეთისათვის.

ამ უკანასკნელ დღეებში ირანის სასამართლოს წარუდგა და სიკვდილით დაისაჯა დამხობილი შაჰის რეჟიმის კიდევ რამდენიმე ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოხელე. ამავე დროს გრძელდება ყოფილი მინისტრების, სახელმწიფო მოხელეების, შაჰის საიდუმლო პოლიცია სავაკის აგენტებისა და სხვა პირების ძებნა, რომლებსაც მონაწილეობა მიუღია სასტიკ რეპრესიებში ხალხის წინააღმდეგ, მშვიდობიანი დემონსტრანტების მასობრივ დახვრეტასა და ირანის ეროვნულ სიმდიდრეთა დატაცებაში.

როგორც ირანის ინფორმაციისა და პროპაგანდის მინისტრის მოადგილემ მ. მომკენამ განაცხადა, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ორგანოებიდან დაითხოვენ ჟურნალისტებს, რომლებიც თანამშრომლობდნენ შაჰის რეჟიმთან. ისინი, ვისი დანაშაულიც გამოძიების პროცესში დადასტურდება, სამართლიან სასჯელს მიიღებენ.

ირანის შეიარაღებული ძალების ახალი ამოცანების შესახებ განაცხადა თეირანის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა ვიცე-ადმირალმა ა. მადანიმ. მონარქისტული რეჟიმის დამხობის შედეგად, აღნიშნა მან, ძირეულად შეიცვალა ირანის სამხედრო-სტრატეგიული პოლიტიკა. შეიარაღებული ძალები ამჟამად გამოდიან როგორც ხალხის და არა საერთაშორისო იმპერიალისტური ძალების ინტერესების დამცველნი. ჩვენ უარი ვთქვით ყანდარმის როლზე რეგიონში და იარაღისა და სამხედრო ტექნიკის უდიდესი პარტიების მიწოდების შესახებ შაჰის რეჟიმის მიერ დადებულ კონტრაქტებზე, აღნიშნა ა. მადანიმ. ირანის შეიარაღებული ძალების წინაშე ამჟამად დგას ორი მთავარი ამოცანა: სახელმწიფოს საზღვრების დაცვა და, არანაკლებ, ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გეგმების განხორციელებაში მონაწილეობა. მაგალითად, უკვე ახლა ორი მშენებარე სამხედრო-საზღვაო ბაზა სამხრეთ სანაპიროზე გარდაიქმნება თევზსაჭერი ფლოტის საჭიროებისათვის.

კონფლიქტების გაჩაღების მიზნით

ვაშინგტონი, 9 აპრილი. (საკდესი). როცა ვაშინგტონში მორიგ გადაწყვეტილებას იღებენ საზღვარგარეთ ამერიკის იარაღის მიწოდების შესახებ, მას რეკლამას უწევენ როგორც იმ ქვეყნების „უშიშროების უზრუნველყოფის“ ღონისძიებას, რომლებისთვისაც განკუთვნილია ეს იარაღი. იმას, თუ რა მიზნებს ემსახურება ასეთი „ქველმოქმედება“, მოწმობს თეთრი სახლის გადაწყვეტილება იემენის არაბთა რესპუბლიკისათვის იარაღის მიყიდვის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს მაშინ, როცა კონფლიქტი მეზობელ სახელმწიფოებს — იემენის არაბთა რესპუბლიკასა და იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებითად თითქმის მოწესრიგებული იყო, მიზნად ისახავს მოწესრიგების ჩაშლას. მართლაც, ამ დროისათვის ორივე მხარე უკვე შეთანხმდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ შეტაკებები და მოლაპარაკების გზით აღმოეფხვრათ უთანხმოება.

მიუხედავად ამისა, თეთრმა სახლმა სასწრაფო თათბირი მოიწვია, რომელსაც თავმჯდომარეობდა პრეზიდენტის თანამშემწე ეროვნული უშიშროების დარგში ზ. ბჟეზინსკი. თათბირზე გადაწყდა იემენის არაბთა რესპუბლიკისათვის მიეწოდებინათ 390 მილიონი დოლარის შეიარაღება, მათ შორის „ფ-5ე“ გამანადგურებელი, „მ-60“ ტანკები და სხვა სამხედრო ტექნიკა. ერთდროულად გადაწყდა იემენის არაბთა რესპუბლიკაში გაეგზავნათ ამერიკელ სამხედრო მრჩეველთა დიდი ჯგუფი. ვაშინგტონმა ეს აქციები განახორციელა მიუხედავად იმისა, რომ არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს სესიამ მოუწოდა არ დაეშვათ კონფლიქტში მესამე მხარის ჩარევა.

ბარბაროსების ნაკვალევზე

ლანგრეული სახლები, აფეთქებული სკოლები და საავადმყოფოები — ასეთი სურათი გადაეშალათ თვალწინ ბოანგლიეშნონის პროვინციის მცხოვრებლებს, როცა ისინი ჩინელი დამპყრობლების განდევნის შემდეგ მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდნენ. უკან დახევის დროს ჩინეთის მხედრიონი სპობდა პარტყეკს, წვავდა ნათესებს, ანგრევდა შენობებს. როგორც უცხოელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, 1972 წელს ამერიკის ავიაციის რეგულარულ დაბომბვებსაც კი არ გამოუწვევია ისეთი ნგრევა, როგორიც ჩინეთის სამხედრო ხროვამ ჩაიდინა ვიეტნამის პროვინციებში.

სურათებზე: ქალაქ ლაოკაიში ჩინელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლების შემდეგ.

ადნ-საკდესის ტელეფოტო.

ფოტო ბრალს ლდებს



გულისწყრომით გმობენ

ნიუ-იორკი. 10 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიის საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გულისწყრომით დაგმო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა ახალი დანაშაული, რომლებმაც სიკვდილით დასაჯეს განმათავისუფლებელი მებრძოლის მონაწილე სოლომონ მახლანგუ. რასისტთა ეს სასტიკი აქცია, ნათქვამია განცხადებაში, აბუჩად აგდებაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებისა, რომელმაც მოითხოვა თავისუფლებისათვის მებრძოლთ სამხედრო ტყვეთა სტატუსი ენენვის კონვენციის შესაბამისად. სოლომონ მახლანგუს სიკვდილით დასჯა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რა უკიდურესობამდე მიდის პრეტორიის რეჟიმი, რათა შეინარჩუნოს სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის რეპრესიული სისტემა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამიბიის საბჭომ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხს თავისუფლებისათვის, აპარტეიდის მოსპობისათვის ბრძოლაში.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

პარიზი, 10 აპრილი. (საკდესი). ხალხთა მეგობრობის ორდენი გადაეცა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების პრეზიდენტ-ადმირალ-ელ გი დესონს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

ᲦᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

დამასკო, 9 აპრილი. (საკდესი). როცა მოღალატური „საზავო“ ხელშეკრულება დადო ისრაელთან, სადათის რეჟიმმა აბუჩად აიგდო ყველა არაბული ქვეყანა. არაბულ სამყაროში ერთსულოვნად მიიჩნიათ, რომ ეგვიპტის კაპიტულანტური მოქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. არაბი ხალხების ზურგსუკან სეპარატული გარიგების ქმედითი პასუხი უნდა გახდეს კოლექტიური ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები ეგვიპტის რეჟიმის წინააღმდეგ, რომლებიც შეათანხმეს არაბული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრებმა ბაღდადის კონფერენციაზე.

ბაღდადის შეხვედრის გადაწყვეტილებებს . მაღალი შეფასება მისცეს აქ გამართული პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სხდომის მონაწილეებმა. საბჭოს წევრებმა განიხილეს მდგომარეობა ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და აღნიშნეს, რომ მათმა მოსახლეობამ გადაჭრით უარყო მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში ეგვიპტელ წოდებული „ადმინისტრაციული ავტონომიის“ რეჟიმის დამყარების გეგმა, რომლის საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატები, ეგვიპტე და ისრაელი ცდილობენ შეცვალონ პალესტინის პრობლემის ნამდვილი გადაწყვეტა. სხდომის დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს წინააღმდეგობის მოძრაობა ოკუპირებულ არაბულ მიწებზე.

ბაღდადის კონფერენციის შედეგების გამო დიდი კმაყოფილება გამოთქვა სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა. დამასკოში ჩამოსულ კვიპროსის ცენტრის ერთიანი დემოკრატიული პარტიის კავშირის თავმჯდომარესთან ვ. ლისარიდოსთან შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ ბაღდადში მიღებული რეზოლუციები მოულოდნელი ლაჯვარი იყო სადათისა და მისი ახალი მოკავშირეებისათვის, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ გათიშავდნენ არაბულ ქვეყნებს და კაპიტულაციას აიძულებდნენ. სულ სხვა რამ კი მოხდა: არაბებმა დაგმეს მოღალატური გარიგება და შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი მისთვის წინააღმდეგობის მიზნით.

ალჟირი, 9 აპრილი. (საკდესი). ალჟირში კმაყოფილებით შეხვდნენ კაიროდან ტუნისში არაბული ქვეყნების ლიგის შტაბბინის გადატანის შესახებ ბაღდადის კონფერენციის გადაწყვეტილებას. ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენჯედიდ შადლიმ ტუნისის პრეზიდენტ ჰ. ბურგიბას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების მეოხებით არაბული ქვეყნების ლიგა იქნება არაბთა სოლიდარობის დაცვისა და განმტკიცების ეფექტიანი საშუალება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმისა და ისრაელის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის.

ულან-ბატორი, 9 აპრილი, (საკდესი). მონღოლეთის მთავრობა და ხალხი მოწონებით გამოეხმაურა ბაღდადის კონფერენციის გადაწყვეტილებას ეგვიპტის მოღალატური რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების გამოყენების გამო, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმულია დოკუმენტში, რომელმაც გადაჭრით დაგმო იმპერიალიზმის, სიონიზმისა და არაბული რეაქციის სეპარატული გარიგება, კვლავ ადასტურებს თავის პრინციპულ პოზიციას: სამართლიანი მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება დამყარდეს 1967 წელს ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან ჯარების სრული გაყვანისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების, მათ შორის საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელების საფუძველზე.

დელი, 9 აპრილი. (საკდესი). მიესალმება რა ბაღდადის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, გაზეთი „პეტრიოტი“ წერს, რომ ისინი გამოხატავენ არაბულ სახელმწიფოთა ერთიან აზრს ეგვიპტის ხელმძღვანელობის კაპიტულანტური კურსის შეფასებაში. ისრაელთან სეპარატული გარიგების დადებამ, წერს გაზეთი, ახლო და შუა აღმოსავლეთში ეგვიპტის სრული იზოლაცია გამოიწვია.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲒᲐ

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. (საკდესის კორ.). მშრომელთა წარმომადგენლებისათვის ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კარი დახურულია. ასეთი დასკვნა გამოაქვს ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ბიულეტენს, რომელიც აქვეყნებს მონაცემებს ამერიკის შეერთებული შტატების სენატის უკანასკნელი არჩევნების დაფინანსების შესახებ. საერთოდ სენატის საარჩევნო კამპანიისთვის დაიხარჯა თითქმის 65 მილიონი დოლარი, რაც 40 პროცენტით მეტია წინა არჩევნებთან შედარებით.

ამ უზარმაზარი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი პირადად კონგრესის ზედა პალატის კანდიდატებმა დაფარეს, რომელთაგან თითოეულმა საშუალოდ 900 ათასი დოლარი შეიტანა. აქ არაფერია გასაკვირი, რადგანდაც პრაქტიკულად ყოველი მეზუთე სენატორი, რომელიც „ხალხის ინტერესების“ წარმომადგენლის როლზე პრეტენზიას აცხადებს, მილიონერია.

მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას ხმარდება არა მარტო კანდიდატთა პირადი სახსრები. მათ არსებითს ფინანსურ დახმარებას უწევენ კორპორაციები, რომელთა ინტერესებსაც კონგრესში ისინი შემდეგ იცავენ. ბიულეტენის მონაცემებით, უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში კანდიდატთა ფონდისათვის, რომელიც ათობით მილიონ დოლარს შეადგენს, სახსრები გაიღო 800 კორპორაციამ. მაგალითად, რესპუბლიკელმა სენატორმა ტეხასის შტატისაგან ჯონ ტაუერმა მათგან მიიღო 350 ათასი დოლარი. სენატორ უილიამ არმსტრონგის ფონდში შეიტანეს 190 ათასი დოლარი. სენატორმა სტრომ ტერმონდმა 110 კორპორაციისაგან მიიღო 165 ათასზე მეტი დოლარი. ჯეს ჰელმსმა ჩრდილოეთ კაროლინის შტატისაგან სენატში ხელახლა არჩევას მიაღწია კამპანიის ფინანსური მხარდაჭერის მეოხებით, რომლის საერთო თანხა 170 ათას დოლარს შეადგენდა.

ᲞᲐᲢᲠᲘᲪᲘᲐ ᲰᲔᲠᲡᲢᲘᲡ „ᲝᲓᲘᲡᲔᲐ“

ᲙᲘᲜᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ამერიკის ქალაქ პლეზანტონის (კალიფორნიის შტატი) ფედერალურ საპატიმროს დიდი ხანია არ უნახავს პრესის წარმომადგენელთა ასეთი მოზღვავება. 300-ზე მეტმა ჟურნალისტმა — თითქმის ყველა . დიდი ამერიკული გაზეთისა და ჟურნალის, რადიოსა და ტელევიზიის კომპანიების წარმომადგენლებმა პირდაპირ ალაყა შემოარტყეს საპატიმროს კარიბჭის წინ მდებარე მოედანს, ლმის გადაეთელათ მცველი პოლიციელები. მოქოქოფილ პრესის „ჯენტლმენებს“, რომლებიც ცდილობდნენ კართან უახლოესი ადგილი დაეკავებინათ, თავს დასტრიალებდნენ პოლიციის ვერტმფრინავები. „ეშმაკმა დალახვროს“, წამოიძახა გაგულისებულმა პოლიციის ზემდეგმა ობუზარ რეპორტიორთა მორიგი მოგერიების შემდეგ. — მალე მაინც გამოუშვებდნენ „ჩიტუნიას“.

„ჩიტუნიამაც“ არ დააყოვნა, და 1 თებერვლის დილის 7 საათსა და 30 წუთზე საპატიმროს ჭიშკარში მომღიმარი ქალიშვილის სახით გამოცხადდა. მას მაღლა ეჭირა რაღაც ქაღალდი და განუწყვეტლივ იმეორებდა: „აი ის, რასაც ყველანი ველოდით“. ტელერეპორტიორთა თხოვნით ქალიშვილმა ქაღალდი „მსხვილი თ ისათვის“ გაშალა: თეთრი სახლის ოფიციალური ბლანკი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ოქროს ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული. ბლანკზე აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მოქმედებდა იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციით და „სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ პატრიცია ჰერსტს პატიმრობის ვადა შეუმცირა. სასამართლოს მიერ მისჯილი შვიდი წლის ნაცვლად ჰ. ჰერსტმა საპატიმროში ორ წელზე ცოტა მეტი დაჰყო, „პატრიცია ჰერსტი მოტაცების, ძალადობის ჩადენილი დანაშაულობებისა და სასჯელის „მოხდის“ ხუთწლიანი ოდისეის შემდეგ საპატიმროდან თავისუფალ ქალად გამოვიდა“ — ამგნო ქვეყანას ამერიკის ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტმა.

მოდით, შეგახსენებთ მულტიმილიონერის და . გაზეთების მაგნატის რანდოლფ ჰერსტის ქალიშვილის ამ „ოდისეას“. 1974 წლის 4 თებერვალს, როცა მეორე კურსის სტუდენტი იყო, იგი მართლაც მოიტაცეს. სახლიდან, რომელიც ბერკლში კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტების ტერიტორიაზე მდებარეობდა. იქ პატრიცია ჰერსტი „თავის საქმროსთან“ ერთად ცხოვრობდა. შემდგომში ცნობილი გახდნენ ეს მომტაცებლებიც. არალეგალური ცრუმმარცხენელი ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავის თავს ფრიად მაღალფარდოვნად და ბუნდოვნად „განთავისუფლების სიმბიონისტურ არმიას“ უწოდებდა, სინამდვილეში კი ერთ-ერთი მაოისტური ჯგუფი გახლდათ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში „მაო ძედუნის მოძღვრების ტალღაზე“ იშვა, მოგვიანებით, როდესაც პოლიცია ამ ჯგუფის ერთ-ერთ არალეგალურ ბინას წაადგა, მან იქ დიდძალი პეკინური ლიტერატურა, მათ შორის „დიდი მესაჭის“ ციტატების კრებული აღმოაჩინა, ტერორისტთა ზრახვები საკმაოდ ნათელი იყო: გაზეთების მეფის ქალიშვილის მოტაცებით მათ „სახელის მოხვეჭა“ სურდათ.

ძალიან მალე მილიონერის გატაცებულმა ქალიშვილმა ფერი იცვალა — მან განაცხადა, მშობლებთან ურთიერთობას „ეწყვეტ“ და „განთავისუფლების სიმბიონისტურ არმიას“ ეუერთდებიო. პატრიცია ჰერსტის განცხადებას, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში სენსაცია მოახდინა, კონკრეტული მოქმედებები ახლდა თან.

ჯგუფი განაგრძობდა ბანკებისა და მაღაზიების ძარცვას, ამავე დროს კლავდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, ყველას, ვისაც წაეყდებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი ძარცვისას, კალიფორნიის ბანკში მოთავსებულმა ფარულმა ტელეკამერამ შეიარაღებულ მძარცველს შორის ავტომატით ხელში პატრიცია ჰერსტიც აღბეჭდა.

ჰერსტის დაკარგული ქალიშვილით სერიოზულად დაინტერესდნენ გამოძიების ფედერალურ ბიუროში, რომელმაც იგი საშიშ დამნაშავედ გამოაცხადა და ძებნაც დაუწყო. 1975 წელს ჰ. ჰერსტი სან-ფრანცისკოში დაიპატიმრეს, 1976 წლის აპრილში კი სასამართლომ იგი „ცეცხლსასროლი იარაღით ბანკის გაძარცვაში“ დამნაშავედ ცნო და 25 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

მაგრამ მისმა მამიკომ, რომელმაც ამ დროისათვის თავის გზააბნეულ ქალიშვილთან შეერიგება მოასწრო, თავისი გავლენა და მილიონები გამოიყენა. სასამართლოს წინა განაჩენი გაუქმეს და საქმის ახალი განხილვა დანიშნეს, რომელიც იმით დამთავრდა, რომ ჰ. ჰერსტს უკვე 7 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, თუ ამის პატიმრობა ჰქვია. პლეზანტონის ფედერალური საპატიმრო, სადაც იგი „დაამწყვდიეს“ ამერიკის პრესის აღიარებითაც კი, უფრო პანსიონატს ჰგავს, ვიდრე სისხლის სამართლის დამნაშავეთა საპატიმროს. ცალკე აპარტამენტები, ფერადი ტელევიზორი, საცურაო აუზი, ცხენთა სეირნობაც კი — ყველაფერი ეს არ აკლდა პატრიციას, მაგრამ ასეთი „სატუსაღოც“ „ამა ქვეყნის ძლიერთა“ წარმომადგენლისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა. ჰ. ჰერსტის ადვოკატთა პეტიციის ელვისებური განხილვის შემდეგ, რომელიც მათი კლიენტის ვადამდე განთავისუფლებას ითხოვდა, იუსტიციის სამინისტრომ „რეკომენდაცია“ გაუწია მათ პრეზიდენტ კარტერთან და მანაც იქვე აჩუქა მას „პრეზიდენტის შეწყალება“.

ასე რომ, პატრიცია ჰერსტის მთელი ეს დანაშაულის, სასჯელის და განთავისუფლების „ოდისეა“ სინამდვილეში როგორც საერთოდ სამართლსა და სამართლიანობაზე, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალ ათას პოლიტიკურ პატიმართა ბედზე ხელისუფალთა მწარე დაცინვად გამოიყურება, პატიმრებისა, რომელთა ერთადერთი დანაშაული თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებებისთვის ბრძოლაში მონაწილეობაა.

და როცა მულტიმილიონერის ქალიშვილის შეწყალება დაიჩარა (თუმცა სასამართლოზე მისდამი წაყენებული ყველა ბრალდება დამტკიცდა მძიმე დანაშაულში), თეთრ სახლს არც კი სურს რაიმე იღონოს უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანის უფლებებისათვის შებრძოლთა ინტერესების დასაცავად.

ამერიკისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები, კონგრესმენთა, პოლიტიკურ და პროფკავშირულ მოღვაწეთა ჩათვლით, უკვე დიდი ხანია მოუწოდებენ თეთრ სახლს შეწყვიტოს ჩრდილოეთ კაროლინის რასისტ ხელისუფალთა სასამართლო თვითნებობა, რომლებმაც „უილმინგტონის ათეულს“ ცრუ ბრალდებისათვის ერთად აღებული 282 წლის პატიმრობა მიუსაჯა. იუსტიციის სამინისტროც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი ამ ჯგუფის სასამართლოზე ფეხქვეშ გაითელა მართლმსაჯულების ელემენტარული ნორმებიც. კი. ხოლო გასული წლის ბოლოს პრეზიდენტმა კარტერმა უკვე მერამდენედ განაცხადა, უფლებამოსილი არა ვარ ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ხელისუფალთა „სუვერენულ“ საქმეებში ჩავერიოო.

ზუსტად ასევე გულდამშვიდებით უყურებს ოფიციალური ვაშინგტონი იმას, რომ ნესტიან, უსინათლო ჯურღმულებში ცოცხლად მარხავენ ზანგ პოეტ ქალს ასატუ შაკურს, რომელმაც გაბედა და ხმა აღიმაღლა ზანგების დასაცავად; თუ როგორ ელის ელექტრონის სკამი ახალგაზრდა მუშა ჯონ ჰარისს; როგორ უსწორდებიან ამერიკის ათასობით სხვა პოლიტიკურ პატიმარს და როგორ სდევნიან საშოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლთ.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ, როცა ვაშინგტონში სამართლის პოვნის იმედი დაკარგეს ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი საზოგადოებებისა და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გასული წლის ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გადასცეს მიმართვა, რომელშიც ამერიკაში ადამიანის უფლებების სისტემატური და უხეში დარღვევებისათვის პროტესტი გამოთქვეს. მიმართვას თან ახლდა დოკუმენტების ორი ტომი, რომელიც სხვაგვარად მოიზროვნეთა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ფაქტიური, დაკანონებული დევნის ფართო სურათს ქმნიდა, იმათი ჩაგვრისა, რომლებმაც უსამართლობის წინააღმდეგ საპროტესტო ხმა აღიმაღლეს.

ამერიკული თემიდა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების რჩეულ, ძალაუფლების მქონე წარმომადგენლების უფლებებს იცავს. მათი უფლებებისა და ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად დგას ოფიციალური ვაშინგტონი. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს პატრიცია ჰერსტის საქმე, რომელსაც ჰოლივუდის ძლასიკური ფილმების მსგავსად „ჰეფი ენდი“, ანუ „ბედნიერი დასასრული“ ჰქონდა.

ვ. ბაიდაშინი.

(საკდესი).

მოკლედ
ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲓᲐᲜ
10 აპრილი

სოფია. ბულგარეთმა აღნიშნა ჯანმრთელობის დაცვის 180 ათასიანი არმიის დღესასწაული.

სოციალისტური განვითარების 35 წლის განმავლობაში რესპუბლიკა მოწინავე მიჯნებზე გამოვიდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მოსახლეობის სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის მხრივ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში. ამჟამად ქვეყანაში მუშაობს 20 ათასზე მეტი ექიმი, რომელთა განკარგულებაშია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

ლონდონი. ინგლისში გამოაცხადეს ფასების მორიგი მომატება. მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებიდან 8,5 პროცენტით გაიზრდება პურფუნთუშეულის ღირებულება. ამ უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე პური მეორედ გაძვირდა. ამ კვირის დამდეგიდან ინგლისელები იძულებულები არიან 7 პროცენტით მეტი იხადონ ბენზინში ვიდრე წინათ. მარტო მიმდინარე წლის თებერვლის განმავლობაში ნავთობპროდუქტების ღირებულება ბრიტანეთის კუნძულებზე 14 პროცენტით გაიზარდა.

ნიუ-იორკი. ფლორიდის შტატში ამერიკის პატარა ქალაქის კრისტალიუს ხელისუფალნი იძულებული არიან სასწრაფოდ გაიზიზნონ მისი მცხოვრებნი, რომლებსაც ქიმიური მოწამლვა მოელით. ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზე რკინიგზაზე მოხდა კატასტროფა, როცა სატვირთო მატარებელი, რომელსაც დიდად ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებანი გადაჰქონდა, რელსებს ასცდა. კატასტროფის შედეგად აფეთქდა ქლორით, ფენოლითა და აცეტონით დატვირთული რამდენიმე ვაგონი. შხამიანმა ორთქლმა, რომელიც ქარს მიჰქონდა, საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას, ხუთი ათასმა კაცმა უკვე დატოვა ქალაქი. მოსახლეობის ევაკუაცია გრძელდება.

ქაბული. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტთან შეიქმნა პარტიული სწავლების ინსტიტუტი, რომელიც პოლიტიკური განათლების მთელი სისტემის წამყვანი სასწავლო ცენტრი გახდება. მისი ძირითადი ამოცანაა პარტიული და ადმინისტრაციულ-სამეურნეო კადრების იდეურ-თეორიული მომზადების გაუმჯობესება.

ტოკიო. იაპონიის კომპარტიამ მნიშვნელოვნად განმტკიცა პოზიციები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეცხრე საყოველთაო არჩევნების პირველი ეტაპის მსვლელობაში კომუნისტებმა თავიანთი წარმომადგენლობა პრეფექტურალურ და საქალაქო კრებებში შესაბამისად 28 და 6 ადგილით გაადიდეს. ადგილობრივი პრესა კომენტარს უძღვნის არჩევნებს და ერთხულოვნად აღნიშნავს იაპონიის კომპარტიის გავლენის ზრდას ადგილებზე, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გააქტიურდა ანტიკომუნისტური კამპანია.

„კომუნისტის“ კალენდარი



წიალის სიმდიდრის მკვლევარი

პროფესორ გ. ზარიძის დაბადების 70-ე წლისთავი

ცნობილ ქართველ საბჭოთა მეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გიორგი მიზეილის ძე ზარიძეს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

გ. ზარიძე საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართული გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ის უთავლესაჩინოესი წარმომადგენელთაგანია, რომლის დაუღალავმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული გეოლოგიის მეცნიერების განვითარებაში.

მან ქართულ ენაზე გამოსცა ოთხი ორიგინალური სახელმძღვანელო პეტროგრაფიის დარგში. სულ ახლახან კი რუსულ ენაზე დაასრულა შრომა „მაგნური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია“. იგი მიღებულია გამოსაცემად მოსკოვში გეოლოგიის სპეციალობის სტუდენტთა სახელმძღვანელოდ. გ. ზარიძის ინიციატივითა და რედაქტორობით თარგმნილია სახელმოხვეჭილ რუს მეცნიერთა სახელმძღვანელოები, ცნობილ მეცნიერ გეოლოგთა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სამეცნიერო-გეოლოგიური, კერძოდ, მინერალოგია-პეტროგრაფიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში.

გ. ზარიძე არის ასობით გეოლოგისა და სამთოელი სპეციალისტის მზრუნველი აღმზრდელი. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე განაგებდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტს როგორც მისი დეკანი. სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1945 წელს დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად გ. ზარიძე მუშაობდა 1948 წლამდე. აქედან მოყოლებული იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრას. განსაკუთრებულია მისი ღვაწლი ამ კათედრის სათანადო აღჭურვაში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისადმი გ. ზარიძის შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ეფექტიანი ხელმძღვანელობამ 1953-1956 წლებში მას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების კარგი ორგანიზატორის სახელი მოუხვეჭა. გ. ზარიძე აქტიური მკვლევარია. მისი მეცნიერული კვლევის შედეგებზე მკაფიოდ მეტყველებს ის ათი სქელტანიანი მონოგრაფია, რომელთა უმეტესობა მოსკოვშია დასტამბული. რა თქმა უნდა, საგაზეთო წერილში შეუძლებელია მეცნიერებაში გ. ზარიძის წვლილის თუნდაც ნაწილობრივი შეფასება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თავისი საქმის დიდმა სპეციალისტებმა ი. კუზნეცოვმა, დ. ბელიანკინმა, კ. პაფენგოლცმა, ვ. ხაინმა, ვ. პეტროვმა და სხვებმა საშეცნიერო პრესაში ერთხმად მაღალი შეფასება მისცეს გ. ზარიძის მიერ გამოქვეყნებულ შრომებს.

დიდია გ. ზარიძის წვლილი კავკასიის მაგმური გეოლოგიის შესწავლასა თუ ზოგად-თეორიული საკითხების დამუშავებაში. მის თეორიულ გამოკვლევებს მკაფიო გამოყენებითი მიმართულება აქვს, რამდენადაც ისინი მჭიდროდ უკავშირდება გეოლოგიურ კვლევა-ძიებითს სამუშაოებს. გარდა ამისა, გ. ზარიძემ უშუალოდ გეოლოგიის საწარმოო დაწესებულებებისათვის შეასრულა ძრავალი დიდი მოცულობის სამუშაო.

პედაგოგიურ, სამეცნიერო და საწარმოო ასპარეზზე გ. ზარიძის შეუნელებელმა მოღვაწეობამ დასაბამი მისცა საქართველოში პეტროლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას.

სწორედ თბილისელმა პეტროლოგებმა, ერთ-ერთმა პირველებმა, გეოსინკლინური და არაგეოსინკლინური ოლქებისათვის დამუშავეს მაგმური პროცესების სტადიური განვითარების სქემა. იურული ასაკის მაგმური სხეულების არსებობა კავკასიაში პირველად გ. ზარიძემ დაამტკიცა და შემდეგ კი დაიწყო მათი შესწავლა. აღნიშნულ სხეულთა კვლევის უდიდესი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა. მათს ყოველმხრივ შესწავლას მიეძღვნა არაერთი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, რომელთა უმეტესობა პროფესორების გ. ზარიძისა და ნ. თათრიშვილის მოწაფეებმა დაიცვეს.

გ. ზარიძის მიერ გამოთქმული იდეების მეცნიერულ-თეორიული მნიშვნელობის მკაფიო დადასტურებაა ის რეზონანსი, რომელიც გამოიწვია მისმა გამოკვლევებმა საზღვარგარეთ, სადაც გამოქვეყნდა მისი ოცდაათზე მეტი ნაშრომი. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ გ. ზარიძეს საზღვარგარეთული სამეცნიერო გეოლოგიის დაწესებულებები იწვევენ ლექციათა ციკლის წასაკითხად. 1974 წელს იგი კითხულობდა ლექციებს ბელგრადის (იუგოსლავია) უნივერსიტეტში, ხოლო 1975 წელს მსოფლიოში გეოლოგიური პროფილის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო-საწვავლო დაწესებულებაში — ფრაიბერგის სამთო აკადემიაში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). მიმდინარე წლის მაისში გ. ზარიძე მიწვეულია ლექციების წასაკითხად ქ. რეგენსბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). პროფესორი გ. ზარიძე თვალსაჩინო მეცნიერული მოღვაწეობისათვის 1969 წელს საფრანგეთის გეოლოგთა საზოგადოებამ (პარიზი) იგი თავის წევრად აირჩია. გ. ზარიძე არჩეულია აგრეთვე სერბიის (იუგოსლავია, ბელგრადი, 1974) გეოლოგთა საზოგადოების წევრად. იგი გერმანიის გეოლოგთა საზოგადოების (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) საპატიო წევრია.

დიდ მუშაობას ეწევა გ. ზარიძე ჩვენი ქვეყნის გეოლოგიის მეცნიერების პრესტიჟის დაცვისა და ამაღლების საქმეში გეოლოგთა საერთაშორისო კონგრესის სესიებზე, კარპატ-ბალკანეთის გეოლოგიური ასოციაციის კონგრესებზე და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით, სადაც იგი ღირსეულად წარმოადგენს საბჭოურ მეცნიერებას.

გ. ზარიძე საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია გეოლოგიის დარგში. იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პეტროგრაფიის კომიტეტის, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს მაგმური და მეტამორფული ფორმაციების კომიტეტის (ლენინგრადი), მადანმომიჯნე მეტასომატოზის საბჭოს (ლენინგრადი) წევრი, აგრეთვე საქართველოს გეოლოგთა საზოგადოების საბჭოს მინერალოგთა საკავშირო საზოგადოების (ლენინგრადი) და მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების წევრია.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით პროფესორ გ. ზარიძეს საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო თემაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელობა და უშუალო მონაწილეობა კავკასიის ტერიტორიაზე განვითარებული უძველესი მეტამორფული ქანების ფორმაციების და მათთან დაკავშირებული წიაღისეულის შესწავლა და მათი გეოლოგიური აგებვა. ამ თემის შესასრულებლად სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტს გამოუყო დამატებითი თანხა.

პროფესორი გიორგი ზარიძე დღესაც უჩვეულო ენერგიითა და გატაცებით იღვწის გეოლოგიაში, მის მიერ არჩეულ იმ დარგში, რომლის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში მას ესოდენი წვლილი მიუძღვის.

პ. გამყრელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

დ. შენგელია,
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

დღე გაზეთით უნდა იწყებოდეს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ინაური

ამა წლის 20 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი „დღე გაზეთით უნდა იწყებოდეს“ სწორედ ამხელს მკითხველებისათვის გაზეთების მიწოდებაში არსებულ ნაკლოვანებებს, რომელთა ძირითადი მიზეზი იყო კავშირგაბმულობის ზოგიერთი /საწარმოს მუშაკების უპასუხისმგებლობა და გაზეთების დაგვიანებით გამოსვლა.

ამ წერილში მოყვანილი ცალკეული ფაქტების განხილვის შედეგად გამოირკვა, რომ გაგრის რაიონული კავშირის, იფნარის განყოფილების უფროსის და ფოსტალიონების აივაზიანისა და ხმირნოვას უპასუხისმგებლობის გამო დროულად მიღებული გაზეთი არ ჩაბარდა ხელმომწერებს, რისთვისაც ისინი მკაცრად დაისაჯნენ.

ვინაიდან გაზეთების გამოსვლის ვადები არ იძლევა საშუალებას ყველა რაიონში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) გაზეთი მივიტანოთ დილის საათებში, ამ რაიონების დიდ ნაწილში გაზეთები იგზავნება გამოსვლის მეორე დღეს. ამ მიზეზით. გეგეჭკორის რაიონის სოფლები გაზეთებს მეორე დღეს იღებენ. ქალაქ ჭიათურის ზონის სოფლებში გაზეთები ხელისმომწერებს დაგვიანებით ბარდებოდა ზამთარში, როცა გაძნელებული იყო ტრანსპორტის მოძრაობა.

სამინისტროს მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლებისა და მუშაობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით აღნიშნული წერილი განიხილეს ყველა ფოსტის საწარმოთა მუშაკებმა, დაისახა გაზეთების გადაგზავნისა და ჩაბარების დაჩქარების ღონისძიებები. წერილი განიხილა აგრეთვე კავშირგაბმულობის სამინისტრომ. მიღებულ ღონისძიებათა შესაბამისად, შეიცვალა გაზეთების გადაგზავნის და დატარების გრაფიკი, დაწესებულია ყოველდღიური ოპერატიული სადისპეჩერო კონტროლი, სამუშაო ადგილებზე გაძლიერებულია ბრიგადები, ყველა რაიონში რამდენიმე საათით დაჩქარდა გაზეთების გაგზავნა.

„კომუნისტის“ კრიტიკული წერილი განიხილეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პარტიული კომიტეტის სხდომაზე.

აღინიშნა, რომ წერილში სამართლიანია კრიტიკა იმის გამო, რომ ზოგჯერ მკითხველები დაგვიანებით იღებენ გაზეთებს კავშირგაბმულობის სამინისტროს, რედაქციებისა და გამომცემლობის მიზეზით.

გამომცემლობის პარტიულმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები სტამბის მიზეზით გაზეთების დაგვიანების აღმოსაკვეთად. სტამბის მიზეზით გაზეთების გრაფიკის დარღვევის ყოველი შემთხვევა გაანალიზდება და მკაცრი განხილვის საგანი გახდება. გაზეთების ბეჭდვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მთელი რიგი ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის მბეჭდავთა კვალიფიკაციის ამაღლება, მუშათა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის ყოველდღიური ზრუნვა, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება. მოეწყობა კონკურსები პროფესიაში საუკეთესოთა გამოსავლენად.

„კომუნისტში“ გამოქვეყნებული „დროშის“ თანამშრომელთა საერთო კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლეგიის წევრებიც. კრებამ თავის მსჯელობის საგნად გახადა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნები. დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ყურნალის მომდევნო ნომრების დროულ და ხარისხიან გამოცემას.

მართალია, „დროშის“ მიმდინარე წლის პირველი ნომრის დაგვიანებით გამოსვლაში ძირითადად რედაქციაა დამნაშავე, მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბასა და გამავრცელებელ ორგანიზაციებსაც მიუძღვით ბრალი, რომ მკითხველი დროულად ვერ იღებს ყურნალს, მაგალითად, ოფიციალური ცნობების თანახმად, „დროშის“ პირველი ნომრის მთელი ტირაჟი სტამბამ ექსპედიციას გადასცა 19 თებერვალს, ექსპედიციამ კი „სოიუზპეჩატს“ 20-21 თებერვალს ჩაბარა გასავრცელებლად. ყურნალის ეს ნომერი კი, როგორც რეპლიკაშია აღნიშნული, მკითხველმა მარტის დასაწყისში მიიღო.

იანვრის ნომერი მარტში?!

რედაქციას უპასუხებს ყურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი რ. მარგიანი

„კომუნისტის“ 7 მარტის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული რეპლიკა „იანვრის ნომერი მარტში?!“, რომელიც ეხებოდა ყურნალ „დროშის“ იანვრის ნომრის დაგვიანებით გამოსვლას.

ამასთან დაკავშირებით ოპერატიულად მოვიწვიეთ ყურნალ „დროშის“ თანამშრომელთა საერთო კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლეგიის წევრებიც. კრებამ თავის მსჯელობის საგნად გახადა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნები. დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ყურნალის მომდევნო ნომრების დროულ და ხარისხიან გამოცემას.

„ს ა ბ ჭ ო ვ ნ ე ლ ა“

საჩხერე. (საკ. კორ. ო. ნიქაბაძე). 55 ხელმარჯვე ოსტატმა დაიწყო მუშაობა ლერწინსკის მოედანზე ახლად გახსნილ მომსახურების კომბინატში, რომელსაც პოეტური სახელი „საბჭოველა“ შერქვეს.

— კომბინატი კომფორტულად არის მოწყობილი, — თქვა საუბარში მისმა დირექტორმა ციალა ქვითაძემ. — ხელსახლების სამუშაოდ განკუთვნილია ნათელი ოთახები, გამოყოფილია დასასვენებელი ადგილები, მოწონებას იმსახურებს ლამაზად გაფორმებული ფოიე, დამონტაჟებულია ახალი მანქანა-დანადგარები.

„საბჭოველას“ პირველი სართული დაეთმო ტელეატელიეს, ფერად ფოტოსალონს, საათების, ფეხსაცმელების შემკეთებლებს. მეორე სართულზე განლაგებულია მამაკაცთა და ქალთა სალონები, ხოლო მესამე სართული ძირითადად მკერავების განკარგულებაშია.

„ს ა ბ ჭ ო ვ ნ ე ლ ა“

საჩხერე. (საკ. კორ. ო. ნიქაბაძე). 55 ხელმარჯვე ოსტატმა დაიწყო მუშაობა ლერწინსკის მოედანზე ახლად გახსნილ მომსახურების კომბინატში, რომელსაც პოეტური სახელი „საბჭოველა“ შერქვეს.

— კომბინატი კომფორტულად არის მოწყობილი, — თქვა საუბარში მისმა დირექტორმა ციალა ქვითაძემ. — ხელსახლების სამუშაოდ განკუთვნილია ნათელი ოთახები, გამოყოფილია დასასვენებელი ადგილები, მოწონებას იმსახურებს ლამაზად გაფორმებული ფოიე, დამონტაჟებულია ახალი მანქანა-დანადგარები.

„საბჭოველას“ პირველი სართული დაეთმო ტელეატელიეს, ფერად ფოტოსალონს, საათების, ფეხსაცმელების შემკეთებლებს. მეორე სართულზე განლაგებულია მამაკაცთა და ქალთა სალონები, ხოლო მესამე სართული ძირითადად მკერავების განკარგულებაშია.



ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის დამსახურებულად პოპულარულია აჭარის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები.

1979 წელს გათვალისწინებულია უფრო გაფართოვდეს ავტონომიური რესპუბლიკის საკურორტო ქსელი. კეთილმოეწყობა და განახლდება ბათუმის, ქობულეთის, ციხისძირის, მწვანე კონცხის, მახინჯაურის საკურორტო ზონები.

აჭარის პროფკავშირთა კურორტების მართვის საოლქო საბჭომ ვალდებულება იკისრა 1979 წლის გეგმა მომსახურების ყველა სფეროში 28 დეკემბრისათვის შეასრულოს და მიიღოს 600 ათასი მანეთი მოგება.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და ტურისტული ბაზების კეთილმოსაწყობად დაიხარჯება მილიონ-ნახევარი მანეთი.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქობულეთის ზონაში. უკანასკნელ ხანებში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მრავალსართულიანი პანსიონატები „ჰორიზონტი“ და „მშენებელი“, დასასვენებელი სახლი „ქობულეთი“, მალე დამთავრდება სასტუმრო „ინტურისტის“ მშენებლობა.

ხურბინეთზე: ახალი პანსიონატი „მშენებელი“ სოფელ ბობოყვათში (ქობულეთის ზონა); „ცენტროსოიუზის“ დასასვენებელი სახლი „ქობულეთი“.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭიათურაში დაიწყო განთქმული მანგანუმის საბადოს დამუშავების დაწყებისა და ქალაქის დაარსების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც ოქტომბრამდე გასტანს. ჭიათურა სადღესასწაულოდაა მორთული. შენობების ფასადებზე, ქუჩებში, მოედნებზე, მაღაროთსამმართველოების შესასვლელებთან, დაწესებულებებში, ავტომანქანებში — ყველგან ვხედავთ ქალაქის ემბლემას: საბაგირო გზას მადნით დატვირთული პატარა ვაგონით და წარწერას „ჭიათურა-100“.

ზეიმი დაიწყო ჭიათურაში დიდი ჯგუფის, — 250 ადგილობრივი მკვიდრის ჩამოსვლით, რომლებიც ამჟამად თბილისში ცხოვრობენ და მუშაობენ. ისინი ჩამოვიდნენ, რათა ნავარძეთის ზეგანზე გააშენონ ჭიათურის 100 წლისთავის სახელობის კაკლის კოროში. ამ ღონისძიების ინიციატივა გამოიჩინა ქალაქის პატრიოტმა თ. კახნიაშვილმა, რომელიც მრავალი წელი იღვწოდა ჭიათურის განვითარებისათვის, ამჟამად კი საბჭოთა კავშირის სამთო ნედლეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილედ მუშაობს.

— კაკლის ხე მტკიცე მერქნისა და დღეგრძელობით გამორჩეული. ეს ხე აღიარებულია გამარჯვების სიმბოლოდ ყოველ საქმეში, ამიტომაც გადაწყვიტეთ შობლიური ქალაქი კაკლის კოროთი დაგვემშვენებინა, — თქვა მან.

წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი თბილისსა და ჭიათურაში.

თბილისიდან ჩამოსული ავტომანქანების კოლონამ მადნის ჰორიზონტებს ჩაუარა. ასობით ჭიათურელი გამოვიდა ნათესავების, ახლობლებისა და მეგობრების შესახვედრად. უკრავს მუსიკა. ისმის სიმღერები, მხიარული შეძახილები. ბევრს ყვავილები უჭირავს.

მთის პლატოს ხალხი შეეფინა. „ჭიათურელი თბილისელები“, როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებენ, — პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები დ. გამეზარდაშვილი, პ. რატიანი, ნ. წერეთელი, შ. გამყრელიძე, თბილისის სამშენებლო ტრესტის „ინკამშენის“ მმართველი ი. კირკიტაძე, საბჭოთა კავშირის საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის“ თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილე ვ. ჩხეიძე, ექიმები შ. ხეცურიანი, ლ. მასხარაშვილი, დ. მაკავარიანი, კ. ბაკრაძე, მეცნიერი-მუშაკი თ. ქვარიანი და სხვები ზეების რგვას შეუდგნენ.

კაკლის კორომს საფუძველი ჩაეყარა. ახლო მომავალში აქ გადაიშლება ჭიათურის 100 წლისთავის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, ნავარძეთი მეშახტეთა ქალაქის ულამაზესი ადგილი გახდება.

დღესასწაულმა ქალაქის კულტურის სასახლეში გადაინაცვლა.

ჭიათურის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მარგველაშვილი მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო პარკისათვის საფუძვლის ჩაყრაში. ამბობს, რომ ჭიათურის 100 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი გადაიქცევა შეშამარიტ დღესასწაულად — შრომის, სამშობლოს სიყვარულის განსახიერებად.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ჭაღარით მოსილი შრომის ვეტერანები, ისინი, ვინც სტახანოვური მოძრაობის სათავეებთან იდგა, წარმოებაში ახალგამოსული ახალგაზრდობა, სტუმრები.

ჭიათურის ქუჩებში გვიანაღამამდე გაგრძელდა სახალხო სეირნობა.

რ. დავიდოვი,
საქინფორმის სპეც. კორ.

წიგნის თაროზე

ექიმი და ავადმყოფი

რა როლი ენიჭება მკურნალს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში — რთული აპარატიკის დანამატად გადაიქცევა იგი თუ მისი ადამიანური თბილი დამოკიდებულება დაეხმარება ავადმყოფს მტანჯველი სენის დაძლევაში? — ეს საკითხებია განხილული პროფესორ **გივი ბახტაძის** ბროშურაში **„ექიმი და ავადმყოფი“**, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ახლახან მიაწოდა მკითხველს.

წიგნში ვრცლად არის ლაპარაკი ექიმის დანშნულებაზე, მის პირად ინდივიდუალურ თვისებებზე, ექიმის ხელოვნებაზე, იმაზე, რომ მიუხედავად მედიცინის ტექნიკური აღჭურვილობისა, მთავარ როლს მკურნალობაში ყოველთვის შეასრულებს ადამიანი. ავადმყოფის მოვლა-პატრონობაში სულისჩამდგმელი იქნება ექიმი და მისი დამხმარე სამედიცინო პერსონალი.

ავტორის განმარტებით, თანამედროვე ექიმი, მკურნალი პროფესიულ ოსტატობასთან ერთად მრავალი ადამიანური თვისებით უნდა იყოს შემკული. მას უნდა ახასიათებდეს ჰუმანურობა, კაცთმოყვარეობა, შემწყალებლობა, კეთილშობილება, თანაგრძნობა, თავდადება, თავგანწირვა, ლმობიერება, მიმტევებლობა, რაინდობა...

მაგრამ განა ყველა ექიმია ამ თვისებებით დაჯილდოებული და საექიმო ხელოვნებას დაუფლებული?

მრავალ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს გაარკვიოს ექიმისა და ავადმყოფის დღევანდელი ურთიერთობა და ის, თუ რა როლი ენიჭება ამ ურთიერთობაში საექიმო ფსიქოლოგიას. ამასთანავე განიხილავს ექიმისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხებს.

პროფესორ გივი ბახტაძის წიგნი საინტერესოდ იკითხება და, ვფიქრობთ, იგი მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც სტუდენტი მედიკოსებისათვის, ისე ფართო მკითხველისათვის.

ლ. ხუბულური.

იზრდება კაკლის კორომი

ქალაქ ჭიათურის 100 წლისთავისათვის



სამი მატჩი

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების მეოთხე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ“ ამჯერადაც სტუმრად იასპარეზა. მისი მეტოქე იყო კიშინიოვის „ნისტრუ“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ოთხი ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს იაროსლავლის „შინაკი“ — 7 ქულა. ოთხ გუნდს — ქუთაისის „ტორპედოს“, კრასნოდარის „ყუბანს“, ლვოვის „კარპატს“ და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ 6-6 ქულა აქვთ და 11-ე ადგილებს ინაწილებენ.

ქართველ ძიუდოისტთა წარმატება

ჰოლანდიის ქალაქ კერკრადში გამართულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა. ქვემძიმე წონაში ყველას აჯობა **თემურ ხუბულურმა.** მან ფინალში დაამარცხა გამოცდილი ჰოლანდიელი ხენკ ნუმანი. 71 კგ წონითს კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა **თამაზ კარიაულმა,** 65 კგ წონაში კი **ოლეგ ზურაბიანმა** მესამე ადგილი დაიკავა.

ბნოგა ვიდეოშიდან

კოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მეთორმეტე ტურში ნანა იოსელიანი მოულოდნელად დამარცხდა შეჯიბრების აუტსაიდერთან — ელეონორა ბოგატიროვასთან (პოლონეთი). მართალია, ნანამ ეს პარტია გადასდო, მაგრამ მისი დამთავრებისას ძნელ პოზიციას მაინც ვერ გაართვა თავი.

ნინო გურიელმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მან ამჯერად პოლონელი ხანა იაგოძინსკა დაამარცხა.

ტურნირს 9 ქულით ლიდერობს გურიელი. მეორე ადგილზეა რუმინელი ვიორიკა ილიე (მან მეთორმეტე ტურში მოუგო შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეს — ანეტ მიხელს) — 7,5 ქულა. იოსელიანსა და რუმინელ მარგარეტ ეოდორესკუს 7-7 ქულა აქვთ.

ქუთაისელები ლიდერთა შორის

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების მეოთხე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ“ ამჯერადაც სტუმრად იასპარეზა. მისი მეტოქე იყო კიშინიოვის „ნისტრუ“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ოთხი ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს იაროსლავლის „შინაკი“ — 7 ქულა. ოთხ გუნდს — ქუთაისის „ტორპედოს“, კრასნოდარის „ყუბანს“, ლვოვის „კარპატს“ და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ 6-6 ქულა აქვთ და 11-ე ადგილებს ინაწილებენ.

ქართველ ძიუდოისტთა წარმატება

ჰოლანდიის ქალაქ კერკრადში გამართულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა. ქვემძიმე წონაში ყველას აჯობა **თემურ ხუბულურმა.** მან ფინალში დაამარცხა გამოცდილი ჰოლანდიელი ხენკ ნუმანი. 71 კგ წონითს კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა **თამაზ კარიაულმა,** 65 კგ წონაში კი **ოლეგ ზურაბიანმა** მესამე ადგილი დაიკავა.

ბნოგა ვიდეოშიდან

კოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მეთორმეტე ტურში ნანა იოსელიანი მოულოდნელად დამარცხდა შეჯიბრების აუტსაიდერთან — ელეონორა ბოგატიროვასთან (პოლონეთი). მართალია, ნანამ ეს პარტია გადასდო, მაგრამ მისი დამთავრებისას ძნელ პოზიციას მაინც ვერ გაართვა თავი.

ნინო გურიელმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მან ამჯერად პოლონელი ხანა იაგოძინსკა დაამარცხა.

ტურნირს 9 ქულით ლიდერობს გურიელი. მეორე ადგილზეა რუმინელი ვიორიკა ილიე (მან მეთორმეტე ტურში მოუგო შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოჭადრაკეს — ანეტ მიხელს) — 7,5 ქულა. იოსელიანსა და რუმინელ მარგარეტ ეოდორესკუს 7-7 ქულა აქვთ.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მუნიციპალობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, აგიტაციისა და ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 27-58; თელავი — 12-99; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იგეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოფარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

• КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 • უე 13334 •

ოლიმპიადა

11 აპრილი

პირველი პროგრამით

06.00 — „ალიონი“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.55 — „ბიბლიოთეკა“ — ბავშვებისთვის (ფ.), 17.25 — „ბავშვებისთვის“ — ეროვნული ენა, 17.35 — „ბავშვებისთვის“ — ეროვნული ენა, 18.05 — „ბავშვებისთვის“ — ეროვნული ენა, 18.35 — „ბავშვებისთვის“ — ეროვნული ენა, 18.55 — „ბავშვებისთვის“ — ეროვნული ენა, 19.05 — „ბავშვებისთვის“ — ეროვნული ენა, 19.15 — „ბოიმბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), **20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი).** (კ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „სინიალი ჩვენს ფანჯრებში“.

რადიო

12 აპრილი

პირველი პროგრამით

06.10 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 08.35 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. პაპმუტოვა — ვოკალური ციკლი „გაგარინის თანავარსკვლავედი“, 11.10 — გაზეთ „ბოიევდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — დ. კაბალევსკი — სონატინა ლა მაჟორი, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — კოსმონავტიკა: მიღწევები, პერსპექტივები, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 —